# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 2015 წელი.

№218 (7863)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.

## „ნაციონალები მუშაობენ, რათა მართლ-მსაჯულების სისტემაში მურუსიძისნაირი კლონები გაამწესონ“

6

**დასჯილი უდანაშაულო დამნაშავენი**

6

**ვინ იქნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი?**

## ქადაგიძის შემცვლელის შერჩევა დაწყებულია

## „დასავლეთი დაგვეხმარება, თუკი საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურება შეიმჩნევა“

4

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

## უვიზო მიმოსვლა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე ლოგიკური ნაბიჯი იქნება

2

## „შურისძიების მთავარი მოტივაცია შეიძლება გახდეს ლაფანყურის ოპერაციის გამოუძიებელი საქმეც“

4

## გაზაფხულისთვის ინფლაცია პიკს მიაღწევს?

7

**◎ დღის ამოჩაზურიდან**

## სააკაშვილი რა, ტერორისტი არ არის?!.

**—მაინცდამაინც ისლამური სახელმწიფო ექსტრემისტმა უნდა აგვაფეთქოს?! სააკაშვილმა რა, პირდაპირი დავალება არ მისცა ბოკერიას, თარგამაძესა და გვარამიას, ბარიკადები აღმართეთ, ბოევიკები შემოიყვანეთ და აუცილებლად სისხლი დაღვარეთო?!. თუ ჩვენი მთავრობა თავის ყველა ნაბიჯს ამერიკის ელჩთან ათანხმებს, იგივე ელჩი აგერ, ბატონო, პირდაპირ აცხადებს, რაც ოდესასა და თბილისში ითქვა, თუ ამაში მთავრობა ძალადობის გეგმას ხედავს, რასაკვირველია, მას საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება აკისრიაო. დაგრთეს ნება, გზა ხსნილი გაქვს, დამნაშავე ნაციონალთაგან დოყლაპიად მონათლულო საქართველოს ხელისუფლებავ?!.**

**მერე სად არის საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფის თქვენი ვალდებულება?!.**

**სად არის იზორიას მიერ აღძრული საქმე?!**

**აღმძვრელ იზორიას რატომ დამბოლოებელი არ უჩანს?!.**

**ეტყობა, აფეთქებებს ველოდებით...**

**განა სულერთი არ არის, ოდესიდან აგვაფეთქებენ თუ სირიიდან?!**

**როლანდას პაულაუსკასი:**

## ...და ამ არეულობაში მიძვრება რუსეთი...



5

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

◎ პრემიერ-მინისტრი

## ირაკლი ღარიბაშვილი: უვიზო მიმოსვლა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე ლოგიკური ნაბიჯი იქნება

**საქართველო** არის აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ე.წ. რბილი ძალის წარმატების მაგალითი, ამის მიუხედავად, ქვეყანამ კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთოს , რათა უზრუნველყოს რეგიონის სტაბილურობა და ადამიანის უფლებათა დაცვა, — ამბობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი euractiv.com-ზე გამოქვეყნებულ თავის წერილში.

წერილში სახელწოდებით — „უვიზო მიმოსვლა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე ლოგიკური ნაბიჯი იქნება“ საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიმოიხილავს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომას, რომელიც მიმდინარე კვირაში ბრიუსელში გაიმართა და საუბრობს იმ მოლოდინებზე, რომელიც საქართველოს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით აქვს.

„ურთიერთობების განმტკიცების საუკეთესო გზა ადამიანების შორის კონტაქტია. ეს წესი ვრცელდება ურთიერთობების ნებისმიერ დონეზე, იქნება ეს პოლიტიკური, საქმიანი თუ ტურიზმის სფერო. პირადად მე ეს გამოვცადე ევროკავშირისა და საქართველოს ასოციირების ხელშეკრულების საბჭოს სხდომაზე, რომელიც ამ კვირაში ბრიუსელში გაიმართა. ამ სხდომაზე დადასტურდა ჩვენი წინსვლა ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. დისკუსიებისას აღიარებულ იქნა ბოლო წლებში ჩვენი მთავრობის ყოვლისმომცველი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანობა, რომელთა შედეგადაც საქართველო უახლოვდება ევროპულ ნორმებს. ეს პროგრესი აისახა ჩვენი რეიტინგების სტაბილურ ზრდაში დემოკრატიული სტანდარტების ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა არჩევნები, სიტყვისა და მედიის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, გამჭვირვალობა და კორუფციის აღმოფხვრა. 2012 წელს ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ ჩვენმა მთავრობამ პრიორიტეტებად გამოაცხადა მზარდი გამჭვირვალობა, სანიმუშო მმართველობა, პოლიტიკური ანგარიშვალდებულება და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა, როგორც დემოკრატიული განვითარებისა და ევროინტეგრაციისადმი ჩვენი ერთგულების გამოხატულება. გარდა ამისა, ჩვენ მივიღეთ ზომები მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და პრესის თავისუფლების უზრუნველსაყოფად“, — წერს ირაკლი ღარიბაშვილი.

საქართველოს მთავრობის მეთაურის შეფასებით, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს უკვე მოჰყვა პოზიტიური შედეგები, რაც ორმხრივი ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაში აისახება.

„საქართველო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გზაჯვარედინზე თავისი უნიკალური მდებარეობის წყალობით, ევროპისთვის არის აზიის კარიბჭე. ამის უტყუარი დემონსტრირება იყო ახლახან თბილისში ჩატარებული აბრეშუმის გზის პირველი ფორუმი — პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც პოლიტიკისა და ბიზნესის სფეროების საერთაშორისო ლიდერებმა განიხილეს თანამშრომლობის პერსპექტივები. საქართველო უპირობოდ ემსახურება ამბიციური რეფორმების დღის წესრიგის განხორციელების საქმეს. ამავე დროს, ჩვენ, პრაქტიკულად, ვუწყობთ ხელს იმ ღირებულებების განმტკიცებას, რომლებიც გვაერთიანებს ჩვენს პარტნიორებთან ევროკავშირიდან. ამის ნათელი მაგალითია პირველი საერთაშორისო კონფერენცია გენდერული თანასწორობის საკითხებზე, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა გასულ კვირას. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სამსახურსა და გაეროსთან ერთად ორგანიზებულ ამ კონფერენციაზე გამოიკვეთა ჩვენი ურყევი გადაწყვეტილება რეფორმების გატარებასთან დაკავშირებით, რომლებიც მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას საყოველთაო თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე. დღევანდელ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის გზა შეუქცევადია. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 80% მხარს უჭერს ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებას. ევროკავშირთან დაახლოების სარგებელი საყოველთაოდ არის აღიარებული. საქართველო არის აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ე.წ. რბილი ძალის წარმატების მაგალითი. მიუხედავად ამისა, ქვეყანამ კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთოს, რათა უზრუნველყოს რეგიონის სტაბილურობა და ადამიანის უფლებათა დაცვა. უვიზო მიმოსვლა იქნება ლოგიკური ნაბიჯი საქართველოს გზაზე ევროკავშირში ინტეგრაციისკენ და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების განხორციელებაში. საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროპაში უვიზო მიმოსვლის გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევთ წინსვლას ადამიანებს შორის კონტაქტების გაღრმავებაში, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში ევროკავშირის ღირებულებების განმტკიცების კუთხით. გარდა ამისა, ჩვენმა ხალხმა უნდა დაინახოს მიმდინარე რეფორმების კონკრეტული სარგებელი. არსებითად მნიშვნელოვანია, ცხადვყოთ, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია მიღწევების შესაბამისად მიმდინარეობს. საქართველო ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა უპასუხოს ვიზების ლიბერალიზაციის მოთხოვნებს, როგორც ეს გასულ კვირას აღნიშნეს ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ და ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტმა“, — ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის წერილში.

პრემიერს სტატიაში მოჰყავს ფედერიკა მოგერინის სიტყვები, რომ საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის მოთხოვნების შესრულების გზაზე, ასევე ასოცირების კომიტეტის განცხადება, რომელშიც აღიარებულია „საქართველოს სწრაფი პროგრესი ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში“.

„შესაბამისად, გამოვთქვამ იმედს, რომ პროგრესის შესახებ კომისიის მიერ დეკემბერში გამოქვეყნებულ ანგარიშში შევა პოზიტიური სიგნალი ვიზების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და ევროპარლამენტარების მტკიცე მხარდაჭერა. ჩვენ უნდა გავაღვივოთ ადამიანებს შორის კონტაქტები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ქართველებისა და ევროპელების ურთიერთობების განმტკიცების საქმეში“, — წერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

## ჩინეთის ელჩი პრემიერმა ოქროს საწმისის ორდენით დააჯილდოვა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ იუე ბინთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა.**

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები განსაკუთრებით განვითარდა. ირაკლი ღარიბაშვილმა ელჩს ორი ქვეყნის მეგობრობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და ოქროს საწმისის ორდენი გადასცა. დიპლომატმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს უსახსოვრა სიმბოლური საჩუქარი — ხომალდი, ჩინური წარწერით „კეთილდღეობა“ და აღნიშნა, რომ ის ჩინეთში წარმატებისა და წინსვლის სიმბოლოა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ იუე ბინს, რომელიც საქართველოში ორი წლისა და ორი თვის განმავლობაში მსახურობდა, საქმიანობის ვადა კვირის ბოლოს ეწურება.

## ვახტანგ გომელაური „გურჯისტანის ვილაიეთის“ შექმნის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ აღასტურებს

**ტერორისტულმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ კავკასიის ტერიტორიაზე საკუთარი პროვინციის დაარსების შესახებ განაცხადა. ამის შესახებ სააგენტო „ფრანს-პრესი“ დაჯგუფების პრესსამსახურის ხელმძღვანელის, აბუ-მუჰამად ალ-ადნანის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება.**

„ვულოცავთ „ისლამური სახელმწიფოს“ ჯარისკაცებს კავკასიაში ხალიფასადმი ერთგულების ფიცის დადებას. ის იღებს თქვენ ფიცს და აბუ მუჰამად ალ-ქადარს ნიშნავს კავკასიის მმართველად“, — ამბობს ალ-ადანი ინტერნეტში გავრცელებულ განცხადებაში.

„ომის შესწავლის ინსტიტუტი“ აზუსტებს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ახალი ვილაიეთის დაარსება ჩრდილოეთ კავკასიის რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა“, — წერს „დოიჩე ველე“.

გარდა ამისა, ვრცელდება არაოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარი პროვინციის „გურჯისტანის ვილაიეთის“ შექმნის შესახებაც განაცხადა, რასაც უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური ტყუილს უწოდებს და არ ადასტურებს.

## აზიიდან და აფრიკიდან მოქალაქეების შემოსვლაზე კონტროლი გამკაცრდა

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ვახტანგ გომელაურის ინფორმაციით, უსაფრთხოების გამკაცრებული ზომების ფარგლებში უკვე რამდენიმე ათეულ პირს საქართველოში შემოსვლის უფლება არ მიეცა.**

ამის შესახებ გომელაურმა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისივე განმარტებით, მაქსიმალური კონტროლია დაწესებული, რომ საქართველოს გამოყენება ტრანზიტული მიზნით არ მოხდეს და ჩვენი ქვეყნის გავლით კონკრეტული პირები სირიაში არ მოხვდნენ.

„საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ, თუ რა ღონისძიებები იქნა გატარებული პარიზში მომხდარი ტერაქტების შემდეგ. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილებები და დღეს დილიდან საზღვრებზე უკვე გამკაცრდა ქვეყანაში შემოსვლა სხვადასხვა ქვეყნიდან, ძირითადად აზიური

და აფრიკული სახელმწიფოებიდან. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ტრანზიტად არ გამოიყენონ ჩვენი ქვეყანა და საქართველოს გავლით არ მოხვდნენ სირიაში და არ მიიღონ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა. რამდენიმე ათეული ადამიანი უკვე დავბლოკეთ, ასევე გამკაცრებულია კონტროლი გამშვებ პუნქტებზე“, — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თქმით, მისი უწყება კოორდინირებულად მუშაობს შს სამინისტროსთან.

## მინდია ჯანელიძე: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თემები მუდმივი მონიტორინგის ქვეშ იქნება

**„განხილული იყო მსოფლიოში ტერორიზმის კუთხით შექმნილი მდგომარეობა და აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების მთელი რიგი მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარება. დეტალურად გავიარეთ ყველა საკითხი, რომელიც საქართველოში უსაფრთხოების უზრუნველყოფას უკავშირდება.** ბუნებრივია, დეტალებზე, ვერ ვისაუბრებ, თუმცა ყველა უწყება თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააგრძელებს მუშაობას უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე და იმ ზომების გატარებას, რომელიც შედის მათ ფუნქციებში. უსაფრთხოების თემები იქნება მუდმივი მონიტორინგის ქვეშ. ჩვენ პერიოდულად გვექნება შეხვედრები, ინფორმაციის წარდგენა, გაანალიზება“, — განაცხადა კრიზისებისა და უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე საბჭოს მდივანმა მინდია ჯანელიძემ.

ამასთან, უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი ხაზს უსვამს და საზოგადოებას შეახსენებს, რომ საქართველო უსაფრთხო ქვეყნების ათეულში შედის.

## საქართველოში სასაზღვრო და საპოლიციო კონტროლი გამკაცრდება

**შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, კრიზისებისა და უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე ქვეყანაში არსებული მდგომარეობა განიხილეს. ასევე შეთანხმდნენ დამატებითი უსაფრთხოების ზომების მიღებაზე, ანუ კონტროლის გაძლიერებაზე.**

„მე ჩემი მიმართულებით შემიძლია გითხრათ, რომ კონკრეტულად გამკაცრდება სასაზღვრო რეჟიმი, როგორც გამშვებ პუნქტებზე, ასევე მწვანე ზოლზე, ასევე გაძლიერდება საპოლიციო კონტროლი და ჩვენ მუდმივად კომუნიკაციაში ვიქნებით ჩვენს პარტნიორ მეგობარ ქვეყნებთან, სამართალდამცავ უწყებებთან“, — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

# ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲚᲐᲢᲕᲘᲔᲚ ᲙᲝᲚᲔᲒᲐᲡ ᲠᲐᲘᲛᲝᲜᲓ ᲕᲔᲘᲝᲜᲘᲡᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ

**„ᲗᲥᲕᲔᲜᲝ** **აღმატებულებავ, ჩემთვის დიდი პატივია გულითადად მოგილოცოთ ლატვიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღე. მოხარული ვარ, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლატვიის რესპუბლიკასთან მეგობრული და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის განვითარებას. ჩვენი ძლიერი თანამშრომლობის გათვალისწინებით, მჯერა, რომ საერთო ძალისხმევით, ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ისტორიული კავშირი და მჭიდრო პარტნიორობა კიდევ უფრო გაძლიერდება და გაღრმავდება ჩვენი ერების საკეთილდღეოდ. ვიყენებ ამ შესაძლებლობას და მსურს მადლობა გადაგიხადოთ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფების მტკიცე მხარდაჭერისათვის. თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა და საუკეთესო სურვილები მეგობარი ლატვიელი ხალხის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის“,** — აღნიშნულია გიორგი მარგველაშვილის ოფიციალურ წერილში.

**◎ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲚᲐᲢᲕᲘᲐ

## ᲒᲣᲨᲘᲜ, 18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ

**ᲐᲛ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲡ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕ ᲒᲛᲘᲠ ᲚᲐᲢᲕᲘᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲣᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ ᲣᲙᲕᲔ 11 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ.**

უპირველეს ყოვლისა, ვულოცავ საქართველოში მცხოვრებ ლატვიელთა სათვისტომოს (რომლის საპატიო წევრიც ვარ) თავმჯდომარეს ქ-ნ **რეგინა იაკობიძეს,** 1997-2010 წლებში საქართველოში ლატვიის რესპუბლიკის საპატიო კონსულს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოში ლატვიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ქ-ნ **ელიტა გაველის,** ლატვიის კონსულს საქართველოში ქ-ნ **ანნა ვალტერეს,** ლატვიის საპატიო კონსულს საქართველოში ბატონ **ბონდო დავითაშვილს.**

ლატვიაში კი ამ დღეს ვულოცავ ჩემს გადამრჩენ მკურნალ ექიმს, ლატვიის რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტს ბატონ **ვალდის ზატლერსს,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პრეზიდენტობამდე ქ.რიგის ორთოპედია-ტრავმატოლოგიის კლინიკის დირექტორს, ლატვიიდან „ლირსების ჯვრის“, ხოლო საქართველოდან წმინდა გიორგის და ღირსების ორდენების კავალერს. ბატონი ვალდისი ომის დროს ქართველი ექიმების გვერდით იბრძოდა, იგი საქართველოზე შეყვარებული ადამიანია...

ვულოცავთ ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარეს **იანის სტრატინშის,** რომელიც ამავე დროს ბატონიშვილ პეტრე ბაგრატიონის მეცნიერული შრომების შესწავლისთვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს, ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორს **ვენტა კოცერეს,** დოქტორ **ანდრეის კრუსკოპსის,** ლატვია-საქართველოს თანამშრომლობის ფონდის მმართველობის საბჭოს თავმჯდომარეს — აკადემიკოს **ვიქტორ კალბერზისს,** წიგნის „ქართველი ექიმის, პროფესორ ა.. მაჩაბლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის“ ავტორს. ბ-ნ **ენდრის ვილცანსს,** ლატვიის ყოფილ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, ქ.რიგის ორთოპედია-ტრავმატოლოგიის კლინიკის თანამშრომლებს: **ივარს უპირს, უტის ბეკერის, აგრის მერტერის** და სხვებს, მთელ სამედიცინო პერსონალს, ლატვიაში თ.გრინდეკსის სამმართველოს თავმჯდომარეს ბატონ **იურის ბუნდულისს,** ბ-ნ **კოტე კორკელიას** — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, ლატვიაში საქართველოს ყოფილ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ამჟამად საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს ევროსაბჭოში, რომლის დახმარებითაც შევძელი ჩავრთულიყავი პროექტში — **„საქართველო-ლატვია გუშინ, დღეს, ხვალ“** პროექტით „მედიკოსებო, გავერთიანდეთ და დავიცვათ სიცოცხლე დედამიწაზე!“ (ჩემი პროექტი ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საიუბილეო თარიღებს), ბ-ნ **ნიკო ჯავახიშვილს,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პროფესორს, წიგნის „ნარკვევები ქართულ ბალტიური ურთიერთობების ისტორიიდან“ ავტორს, წიგნის პრეზენტაცია ჩატარდა ლატვიაში და ბატონ ნიკო ჯავახიშვილს მიენიჭა საპატიო დოქტორის“ წოდება. ლატვიაში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს: ბ-ნ **ნუგზარ მძინარიშვილს** — ლატვიაში ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარეს, **ბესარიონ ბერაძეს** — ლატვიაში მოქმედი კერძო სამედიცინო კომპანია „ლიზოფარმის“ გენერალურ მენეჯერს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს და საელჩოს თანამშრომლებს — **გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ამ ულამაზესი ქვეყნის აყვავებას და აღორძინებას.**

**ᲘᲖᲝᲚᲓᲐ ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔ,**

საქართველოში ლატვიელთა საზოგადოება „AVE–SOL -ის საპატიო წევრი, „შპს საქართველო-ლატვია სიცოცხლისათვის“ დირექტორი, ექიმი.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲐ Ქ-Ნ Ი. ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲡᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ, ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ.**

# ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲥᲜᲐ, ᲮᲐᲓᲣᲠᲛᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲒᲐᲘᲪᲜᲝ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ელჩს საქართველოში იან კელის შეხვდა.**

შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და მხარეებმა აშშ-ის მთავრობასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს, მათ შორის, ისაუბრეს იმ მხარდაჭერაზე, რომელსაც ჩვენი პარტნიორი ქვეყანა სამინისტროს ფისკალური სამსახურების შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით უწევს.

ამ კუთხით, განსაკუთრებით, ხაზი გაესვა იმ პროგრამების მნიშვნელობას, რომელიც ფინანსთა სამინისტროში შეერთებული შტატების ხაზინის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და მისი ერთ-ერთი პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ დახმარებით ხორციელდება.

შეხვედრაზე ისაუბრეს მიმდინარე წლის ივლისში, საქართველოს მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებთან უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის შესახებ (FATCA) აქტის ხელმოწერის მნიშვნელობაზე, რითაც საქართველო შეუერთდა იმ ქვეყანათა რიცხვს, რომელიც პარტნიორ ქვეყანას — აშშ-ს მისი მოქალაქეების მიერ გადასახადების დაფარვის ფაქტების აღმოფხვრის მიზნით ფინანსურ ინფორმაციას მიაწვდის.

ფინანსთა მინისტრმა საქართველოს მთავრობის სახელით, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების მხარდაჭერისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ჩვენს ქვეყნებს შორის აქტიური თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება.

**◎ ᲜᲣᲗᲣ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ?**

# ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ 31 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲤᲐᲡᲝ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲘ 45 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ!!!

**ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲨᲐ �თᲝᲠᲓᲘᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲤᲐᲡᲝ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ.** თორდიას შეფასებით, პრემიების შეზღუდვასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებულმა დადგენილებამ საკითხის დარეგულირება ვერ უზრუნველყო. როგორც გენერალურმა აუდიტორმა გადაცემა „არჩევანში“ განაცხადა, **რეგიონული განვითარების სამინისტროში დანამატების გაცემის ოდენობა 69%-ით გაიზარდა, იუსტიციის სამინისტროში — 206%-ით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში — 412%-ით, კულტურის სამინისტროში 1509%-ით, დევნილთა სამინისტროში — 35%-ით, ჯანდაცვის სამინისტროში — 270%-ით.**

მისივე თქმით, თანხობრივ გამოხატულებაში, **პრემიის სახით გაცემული ხელფასი 31 მილიონი ლარით შემცირდა, ხოლო სახელფასო დანამატი 45 მილიონით გაიზარდა. „სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ქვეყანაში პრემია ან დანამატი არსებობდეს, მაგრამ აღნიშნული ფულადი განაცემები უნდა იყოს მოწესრიგებული ისე, როგორც არის მოცემული შესაბამის ბრძანებაში და დადგენილებაში, ანუ ადამიანები უნდა იღებდნენ პრემიებს, მაგრამ ყველა პრემია უნდა იყოს დასაბუთებული, რისთვის, რა გარჯისთვის აიღო საჯარო მოხელემ აღნიშნული პრემია. ასევეა დანამატის საკითხიც — არ შეიძლება წინასწარ, ერთი წლით ადრე განსაზღვროს რომელიმე თანამდებობის პირმა ის, რომ საჯარო პირმა ყოველთვიურად სახელფასო დანამატი უნდა აიღოს“,** — განაცხადა ლაშა თორდიამ.

# ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲡᲝᲚᲘᲓᲣᲠᲘᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲥᲕᲡ

**ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ** **უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოში დანამატი ხელფასზე მეტი არ არის, თუმცა ხელფასები საკმაოდ მაღალია, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საბჭოს მდივანმა მინდია ჯანელიძემ განუცხადა.**

**„დანამატი ხელფასზე მეტი ნამდვილად არ არის, თუმცა, იმას ვადასტურებ, რომ ჩვენ უწყებაში საკმაოდ მაღალი ხელფასებია, რადგან იქ მუშაობენ საკმაოდ მაღალკვალიფიციური ადამიანები. შესაბამისად, მათ ჯეროვანი ანაზღაურება სჭირდებათ“,** — განაცხადა ჯანელიძემ.

კითხვაზე, პირადად მას რამდენი აქვს ანაზღაურება, მინდია ჯანელიძემ ზუსტი ციფრი ვერ დაასახელა.

**„ჩემი ყოველთვიური ანაზღაურება გამოქვეყნებულია ჩემს დეკლარაციაში. ზუსტად ახლა ციფრები არ მახსოვს“,** — განაცხადა ჯანელიძემ. მანვე აღნიშნა, რომ გავრცელებული ინფორმაციები მისი ხელფასის ოდენობის შესახებ სწორი არ არის.

**ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ**

# მესამე მსოფლიო ომი?!

## „შურისძიების მთავარი მოტივაცია შეიძლება გახდეს ლაფანყურის ოპერაციის გამოუძიებელი საქმეც“

**პარიზის ტერაქტების შემდეგ, თითოეული ქვეყნის და მოქალაქეების უსაფრთხოება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. გავრცელდა პარიზის პრემიერ-მინისტრის მანუელ ვალსის და ერაყის უშიშროების სამსახურის განცხადებები, რომლებიც ევროპულ ქვეყნებს მოსალოდნელი ტერორისტული აქტების შესახებ აფრთხილებენ.**

რამდენიმე მუქარა მედიასივრცეში საქართველოს წინააღმდეგ უკვე გავრცელდა. ერთ-ერთი ეკუთვნის სამუფტოს ყოფილ იმამს მურმან პაიჭაძეს (აბუ ასია ალ-ჯურჯის), რომელიც, როგორც ირკვევა უკვე „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება და საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს სირიაში წასვლისკენ მოუწოდებს.

**„საქართველოს მომავალზე რომ არ ფიქრობდით და ყალბ ისტორიაზე ილუზიებს აგებდით, მაშ დაელოდეთ პასუხს მუსლიმებისაგან, რომელიც ძალზე მკაცრი იქნება. ეს პროცესი შეუქცევადია და ალაჰის ნებით მოვალთ საქართველოშიც და დავამყარებთ სამყაროს გამჩენისა და ბატონ-პატრონი უზენაესი ალაჰის კანონებს“,** – აცხადებს პაიჭაძე.

მეორე განცხადება ვინმე აბუ მარიამ ალ-ჯურჯის, ასევე ეთნიკურ ქართველს ეკუთვნის, რომელიც ასევე სახალიფოში გადასახლებისკენ მოუწოდებს ქართველებს და ჯიჰადით იმუქრება.

რამდენიმე თვის წინათ კიდევ ერთმა ქართველმა, 27 წლის თამაზ ჭაღელიძემ გაავრცელა ვიდეომიმართვა. ბათუმის მცხოვრები, პროფესიით ეკონომისტი, სოციალურ ქსელებში აჰმედ ჯორჯია ჭაღელიძედ ცნობილი თამაზ ჭაღელიძე აცხადებს, რომ მან ეს გადაწყვეტილება მიიღო იმიტომ, რომ მას და მის მომძეებს საქართველოში რელიგიის გამო დევნიდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ, მასთან ერთად სირიაში კი, როგორც ის აცხადებს, 200-ზე მეტი ქართულად მოსაუბრე მუსლიმი იმყოფება.

გაზეთ „ალიას“ ერთ-ერთ ნომერში ჭაღელიძის და მისი ბათუმელი მეგობრის მიმოწერაც გამოქვეყნდა, სადაც ის ქრისტიანებს და სამღვდელოებას ემუქრება და აცხადებს, რომ საფრანგეთი მონაგონი (იგულისხმება 2015 წლის ივნისის ტერაქტი) იქნება, თუ აჭარა ისლამური ავტონომია არ გახდება.

**„მერაბ, ვინც ისლამს და მუსლიმანებს შეგვებრძოლება, ჩემი ძმაც რომ იყოს, ვესვრი, ჩემი დახმარება თუ გინდა, აჭარის ავტონომია ისლამური უნდა გახდეს. საპატრიარქო წავიდეს, თორემ საფრანგეთი მონაგონი იქნება“,** – წერს ჭაღელიძე მეგობარს.

რას უქადის „ისლამური რესპუბლიკა“ ევროპის ქვეყნებს, შესაძლებელია თუ არა ტერორისტულმა აქტებმა პერმანენტული სახე მიიღოს და რამდენად ემუქრება საფრთხე საქართველოს ამ ახალ მსოფლიო ქაოსში?

ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილის აზრით, ტერორისტული აქტებისგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ პანიკის დათესვაც არ ღირს, დარტყმის სამიზნეები კი ძირითადად, მსხვილი საერთაშორისო მოთამაშეები იქნებიან.

**„თუმცა, ვიმეორებ, დაზღვეული არავინ არის. რაც შეეხება პერმანენტულ რეჟიმს, იმედი მაქვს, მსხვილი და დაზვერვის უახლესი საშუალებებით აღჭურვილი სახელმწიფოები შეძლებენ სრული წინააღმდეგობა შეუქმენან ამ მოვლენას. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მსოფლიოს დიდი მოთამაშეები ფიქრობენ ამაზე. თუმცა, მუსლიმების ხელში არის საკმაოდ მძლავრი იარაღი - ფუნდამენტალიზმი, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა ძალზედ რთულია, თვით თანამედროვე ტექნოლოგიის პრობებშიც კი“,** – აცხადებს შათირიშვილი For.ge-სთან საუბარში.

რამდენად შესაძლებელია პანკისის ხეობა შეკავების გარანტი აღმოჩნდეს „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისთვის? – შათირიშვილს მიაჩნია, რომ პანკისის მოსახლეობას ახსოვს ქართველი ხალხისგან გაწეული სიკეთე, თუმცა პროგნოზირება რთულია.

**„საქართველოში საერთო განწყობა და მუსლიმების მიმართ დამოკიდებულება, მოგეხსენებათ, ტოლერანტულია. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთი-ორ მოვლენას, როდესაც შეეცადნენ, კონფლიქტი გაეღვივებინათ ჩვენს შორის, კონფლიქტი, პრაქტიკულად, არ არსებობს. ამდენად, საბაბსაც ნაკლებად ვიძლევით, რომ ეს კონფლიქტი მოხდეს.**

**უნდა გავითვალისწინოთ, რომ პანკისის ხეობამ ძალზედ სერიოზული როლი შეასრულა ჩეჩნეთის ომის დროს და დარწმუნებული ვარ, პანკისის მოსახლეობას ახსოვს ის სიკეთე, რომელიც ქართველმა ხალხმა მათ გაუწია“,** – განაცხადა ზაზა შათირიშვილმა.

„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ პრეზიდენტის სოსო ცისკარიშვილის აზრით, სირიაში წასული ქართველი მოქალაქეების რაოდენობა რამდენიმე ათეულია, მაშინ როცა საფრანგეთიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან რამდენიმე ასეული მოქალაქე იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში.

**„თუ საქართველოდან წასული ახალგაზრდების რაოდენობა იზრდება, ეს მხოლოდ ჩვენი, ქართული საზოგადოების ბრალია, რომელიც შესაბამისად მომთხოვნი არ არის ხელისუფლების მიმართ, რომლის ქმედებების დროულად გატარების შემთხვევაშიც, არ მოხდებაოდა ასეთი სახის მიგრაცია, აქ ბუნებრივია, ძალადობრივ ქმედებებს არ ვგულისხმონ“,** – აცხადებს სოსო ცისკარიშვილი For.ge-სთან საუბარში და აღნიშნავს, რომ ქართველი საზოგადოებისგან მუსლიმ მოსახლეობას ყურადღება და სითბო აკლია და ჩვენ რომ უფრო ლმობიერნი და გონიერნი ვყოფილიყავით, არანაირი საფრთხე არ გვექნებოდა.

**„საკუთარ პრობლემებში ჩაძირულმა ჩვენმა თანამოქალაქეებმა ვერ შევძელით, გაგვეაზრებინა ის საფრთხეები, რომლის პროგნოზირება რთული არ იყო.**

**ნაცვლად იმის, რომ ავყვეთ რუსულ პროპაგანდას და ვისაუბროთ იმაზე, რომ პანკისის ხეობა საფრთხის შემცველია მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ იქ მცხოვრები ქისტები არავისზე ნაკლები ქართველები არ არიან და ისინი გულგატეხილნი არიან იმ უყურადღებობის გამო, რომელსაც მათ მიმართ იჩენს სახელმწიფო“,** – აცხადებს ექსპერტი.

ცისკარიშვილის აზრით, ქართული საზოგადოება მარტივად ცდილობს, რუსული სტანდარტებით შეაფასოს იქ მიმდინარე პროცესები, შურისძიების მთავარი მოტივაცია კი, შეიძლება გახდეს ლაფანყურის ოპერაციის გამოუძიებელი საქმეც, რომლისგანაც თვით პანკისის მოსახლეობის დაცვაც საჭიროა.

**„ჩვენი უყურადღებობა დღემდე მიუღებელია არა მარტო პანკისის მცხოვრებლებისთვის, არამედ ისლამის მიმდევარი კავკასიელებისთვის, რომელთა ძალიან დიდი ნაწილი იბრძვის დღეს აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში. დამოკიდებულება ჩვენს მიმართ ნეგატიურია და მუქარაც დღემდე არსებობს ლაფანყურის ოპერაციის გამოუძიებლობის და დამნაშავეთა დაუსჯელობის გამო. ეს შეიძლება იყოს ის მთავარი მოტივაცია შურისძიებისა, რომლისგანაც ჩვენ უნდა დავიცვათ პანკისის მოსახლეობა“,** – აცხადებს ცისკარიშვილი.

**ეკა გუჩუკური**

## „დასავლეთი დაგვეხმარება, თუკი საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურება შეიმჩნევა“

**ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ მთელ მსოფლიოს ღიად ემუქრება და ევროპის შემდეგ ამერიკაში აანონსებს ტერაქტებს. როგორც სააგენტო „როიტერი“ იტყობინება, ისლამისტებმა ახალი ვიდეორგოლი გაავრცელეს, სადაც აცხადებენ, რომ სირიის დაბომბვაში მონაწილე ყველა ქვეყანა „საფრანგეთის ბედს გაიზიარებს“. ვიდეორგოლის თანახმად, რომლის ავთენტურობა დგინდება, ვაშინგტონში ტერაქტების მოწყობა იგეგმება.**

ვიდრე პარიზს დაარტყამდა, დაჯგუფების მედიაქვედანაყოფმა Al Hayat Media Center-მა ვიდეომიმართვა რუსულ ენაზე გამოაქვეყნა, ინგლისურენოვანი ტიტრებით. მკვლელობის კადრების შემცველ ვიდეორგოლში აღნიშნული იყო, რომ **„მალე, ძალიან მალე დაიღვრება ზღვა სისხლი“.** ტექსტის ზოგიერთი ნაწილი აშკარად იყო მიმართული არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მთლიანად ევროპის მოსახლეობისადმი. ვიდეორგოლში ასევე იყო მუქარა კრემლის აღებისა და კავკასიის დაბრუნების შესახებ.

მოგეხსენებათ, სირიისა და ერაყის შემდეგ „ისლამურმა სახელმწიფომ“ გააქტიურება ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყო. გასულ ზაფხულს ერთ-ერთი სირიული ქალაქის დაკავებისას განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი ვილაიეთი შექმნა, რომელიც დაღესტანს, ჩეჩნეთს, ინგუშეთს, ყაბარდო-ბალყარეთსა და ყარაჩაის აერთიანებს.

სამხედრო ექსპერტების ინფორმაციით, „ისლამურმა ხალიფატმა“ კავკასიაში კიდევ ერთი ვილაიეთი – გურჯისტანი (საქართველო) დააარსა. მათი ვარაუდით, გურჯისტანის ვილაიეთის მთავარი მიზანი ჩრდილო კავკასიასთან სატრანზიტო კომუნიკაციის უზრუნველყოფა იქნება და ამისათვის ელექტრონული ქსელი უკვე შექმნილია.

რამდენად ზრდის აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება პოტენციურ საფრთხეებს, ექსპერტების შეფასებით, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია, თუმცა საქართველოს მაქსიმალური სიფრთხილე მაინც მართებს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუკი ისლამურმა სახელმწიფომ საქართველოში გააქტიურება გადაწყვიტა, სამიზნე ტერიტორიები შეიძლება გახდეს მუსლიმანური მოსახლეობით დასახლებული რეგიონები, როგორიცაა პანკისის ხეობა, აჭარა და ა.შ.

ექსპერტი **ვახტანგ მაისაია** თვლის, რომ საფრთხე შეიძლება იყოს სატრანზიტო-კომუნიკაციური მიმართულების კონტექსტში.

მისივე შეფასებით, რამდენად გააქტიურდება ისლამური ხალიფატი სამხრეთ კავკასიაში, ალბათ დროის საკითხია.

ერთია, ისლამური ხალიფატისგან მოსალოდნელი საფრთხეები, ხოლო მეორე – საფრთხე, რომელიც მოსალოდნელია რუსეთისგან, იმ შემთხვევაში, თუ ის საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას საქართველოს ტერიტორიაზე გადაწყვეტს.

**„რუსეთმა უკვე დაიწყო „ისლამური ხალიფატის“ წინააღმდეგ ბრძოლა და ნალჩიკში ჩატარებული სპეცოპერაცია ამის დასტურია. შეიძლება საქართველოდან არავითარი საფრთხე არ მოდიოდეს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზეც მოინდომოს მსგავსი ოპერაციის ჩატარება. გავიხსენოთ 2002 წლის პანკისის მაგალითი, როდესაც რუსეთმა ტერორიზმთან ბრძოლა გამოიყენა მიზეზად და საჰაერო დარტყმა განახორციელა ჩვენს ტერიტორიაზე. რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი“,** – მიიჩნევს ვახტანგ მაისაია.

ექსპერტი **გიორგი მჭედლიშვილის** შეფასებით, საქართველომ ასეთი საბაბი არ უნდა მისცეს რუსეთს.

**„თუ გავითვალისწინებთ რუსეთის სტრატეგიას - ყველანაირად დაასუსტოს საქართველო, თუკი ასეთი ბერკეტი მიეცემა, დიდი ალბათობით შეეცდება, გამოიყენოს, მაგრამ ჩვენზეა დამოკიდებული, რომ არ მივცეთ ეს საშუალება. სახელმწიფომ უნდა გააააქტიუროს თავისი უსაფრთხოების მექანიზმები, საზღვრების დაცვა და ა.შ“,** – აცხადებს მჭედლიშვილი.

**„საქართველო არის ანტიხალიფატური კოალიციის წევრი, თუკი შეიმჩნევა რაიმე ტიპის გააქტიურება, ბუნებრივია, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები. არავის არ უნდა მივცეთ საშუალება, ჩვენი ტერიტორია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენოს. ეს საერთო პრობლემაა. ამიტომ დასავლეთი ყველანაირად დაგვეხმარება, თუკი საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურება შეიმჩნევა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა გაატაროს კონტრზომები, რათა საქმე არ მივიდეს გარკვეული ტიპის ქმედებებამდე“,** – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

გიორგი მჭედლიშვილის შეფასებით, ერთია – გამოაცხადო „ვილაიეთის“ შექმნა, მაგრამ მეორე – რეალურად განახორციელო.

**„რა მიზნებიც არ უნდა ჰქონდეს ისლამურ ხალიფატს საქართველოში, ვფიქრობ, შესაძლებელია მისი გამოვლენა და აღმოფხვრა საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით“,** – აცხადებს იგი.

როგორც ცნობილია, ხელიუფლებამ უკვე დაიწყო გარკვეული კონტრზომების მიღება. კერძოდ, დააკავეს რამდენიმე პირი, დაბლოკეს ისლამისტური საიტები, შეიზღუდა ჩვენი თანამემამულეების სირიაში წასვლა, მაგრამ ამის მიუხედავად, ექპერტები თვლიან, რომ ხელისუფლებას შეუძლია, ბევრად ეფექტურად იმუშაოს იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც სავარაუდოდ, მას აქვს.

**მარიამ თოდაძე**

**— ბალტიისპირეთში ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ლიტვის დამოუკიდებლობის აქტზე ერთ-ერთმა ხელისმომწერმა როლანდას პაულაუსკასმა მოულოდნელად საკმაოდ მკაცრი ლექცია ჩაატარა სხვა ხელისმომწერებთან. მისი მოხსენება მსოფლიოს გლობალურ პრობლემას — სირიის ომს ეხება.**

**პაულაუსკასის აზრი საკმაოდ დაშორდა ლიტვის ოფიციალურ შეხედულებას.**

## სირია - ქრისტიანობის აკვანი, ასადი კი ჯენტლმენი

**— ბრ ვიტყვი, რომ დიდი არაბისტი ვარ, მაგრამ დიდი ხანია, ვაკვირდები მოვლენებს. დავიწყოთ იმით, რომ ახლანდელი სირია ოსმალეთის იმპერიის ნაწილია, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს მოწყდა მას. სირიის საზღვრებს ბრიტანეთი და საფრანგეთი აწესებდა იმის გაუთვალისწინებლად, რომ იქ შიიტები, სუნიტები, ალავიტები ცხოვრობენ.**

აქედან გამომდინარე მათ ამით დააპროგრამეს კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთის უმეტეს სახელმწიფოებთან. სხვათაშორის, სირია დიდი ხნის განმავლობაში იყო საფრანგეთის პროტექტორატი და მხოლოდ 1946 წლის დასაწყისში გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ერთი საინტერესო ფაქტიც — სირია და ეგვიპტე 1958-1961 წლებში საერთო არაბული სახელმწიფო იყვნენ.

ეს ყველაფერი გვიჩვენებს როგორი რთული გენეზისია იქ, არ არის ფესვები. ოსმალეთის იმპერიაში ყოფნის შემდეგ სირიელი — როგორც ერი აღარ არსებობდა, არადა, ის ოდესღაც ქრისტიანული ქვეყანა იყო, სირია კი ქრისტიანობის აკვანი.

ახლა კი იქ მცხოვრებთა 90% თავს მუსულმანს უწოდებს. ამიტომ ნამდვილი სირია მხოლოდ 70-იან წლებში იწყება, როცა ხელისუფლების სათავეში მოქმედი პრეზიდენტის ბაშარ ასადის მამა მოვიდა, ის ავტორიტარული რეჟიმის წარმომადგენელი იყო, მაგრამ კონტროლს არ კარგავდა ამ შერეულ ხალხზე.

ამჟამინდელი პრეზიდენტი შემთხვევით მოხვდა ამ თანამდებობაზე. სირიის პრეზიდენტი მეორე შვილი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ბაშარ ასადი კი იქამდე ლონდონში ცხოვრობდა და თვალის ექიმი იყო, ის ნამდვილი ჯენტლმენი გახლდათ, მისი ცოლი ბრიტანეთის მოქალაქეა, მაგრამ სუნიტია.

ბაშარს ნახევარი არმია გაექცა, მაგრამ ის მაინც მხნედ დგას!

## რა ხდება დღეს სირიაში?

**დავიწყოთ იქიდან, რომ 2007-2010 წლებში ქვეყანაში დიდი გვალვა იყო და ხალხი ქალაქებს მიაწყდა ლუკმაპურის საშოვნელად, ამის წინ კი სირიაში შობადობამ იფეთქა და მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა, 7 მილიონიდან 22 მილიონზე ავიდა.**

ბუნებრივია, სოციალური ამბოხისა და უკმაყოფილებისთვის ბაზა ამ მიზეზებითაც შეიქმნა და აი, 2011 წელს ერთ-ერთ პროვინციაში მღელვარება დაიწყო, რომელსაც მაშინვე დაუჭირეს მხარი იმ ძალებმა, რომლებიც გაუგებარია საიდან აღმოცენდნენ. ოპოზიციას მაშინვე იარაღი გაუჩნდა, სახურავებზე — სნაიპერები, რომლებიც ყველა მიმართულებით ისროდნენ და მდგომარეობას უფრო ძაბავდნენ.

ასადს ლიბიის და კადაფის მაგალითი ჰქონდა, როცა კადაფმა ასეთ ამბოხებას არ უპასუხა, აღარც ლიბია და აღარც კადაფი აღარ დარჩა.

კბილის ექიმისგან არავინ მოელოდა მკაცრ პასუხს, მითუმეტეს, რომ ის რბილი ხასიათის იყო. დიხ, დიახ!

მან ალყა შემოარტყა ქალაქს, რომელიც სავსე იყო მოხალისეებით და დაიწყო დაბომბვა, დაიხოცნენ მშვიდობიანი მოქალაქეებიც, რომლებმაც ვერ მოასწრეს გაქცევა. და როცა დღეს დასავლეთი ასადის ამ საქციელს გმობს, მართალია. მაგრამ მინდა დავუსვა კითხვა: მაშინ რა უნდა გაეკეთებინა პრეზიდენტს? სხვანაირად დღეს სირია, ისევე როგორც ერაყი და ლიბანი აღარ იარსებებდა. მან აირჩია ბრძოლა!

მაშინ „ზომიერი ოპოზიციის“ შეიარაღება საზღვარგარეთმა გაზარდა, ისინი კბილებამდე შეიარაღებულნი იყვნენ და იმისდა მიუხედავად, რომ ასადს ნახევარი არმია გაექცა, ის თავის ერთგულ სამხედროებთან ერთად უკვე მეოთხე წელია დგას.

## გაერთიანდა ორი უზარმაზარი ძალა

**სირიის ტერიტორიაზე ქურთებიც ცხოვრობენ, რომლებიც საკუთარ სახელმწიფოზე ოცნებობენ, მათ დაივიწყეს ჩხუბი ასადთან და „ოპოზიციური დაჯგუფების“ წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. თურქეთი შიშობს, რომ ქურთების რისხვა მათზე გადავა.**

და ამ დროს ერაყში იქმნება „ისლამური სახელმწიფო“ , რომელიც სირიის ნაწილს იპყრობს.

უკვე ჩამოყალიბდა ოთხი დამოუკიდებელი მოთამაშე: ასადის არმია, „შეიარაღებული ოპოზიცია“, ქურთები და ისლამური სახელმწიფო . მათ უკან კი უხილავად მდგარი საუდის არაბეთი და კატარი. ასევე თურქები, რომლებიც თავის თამაშს თამაშობენ.

და ყველა ამ არეულობაში რუსეთი მიძვრება.

საინტერესოა ის, რომ რუსეთი არის ერთადერთი, რომელიც ამ ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებებს კანონიერად აწარმოებს, სხვები კი ბომბავენ და აკეთებენ იმას, რაც სურთ და არაფრად აგდებენ სირიის სუვერენიტეტს.

ამდენად, ამ უბედური სირიის ტერიტორიაზე გამოჩნდა ორი ძირითადი ძალა — ერთი მხრივ, აშშ და მისი კოალიციის 60 მონაწილე და მეორე მხრივ, რუსეთი, ირანი და, შესაძლოა, ჩინეთი.

ცდება თუ არა ამერიკა?

გაკვირვებული ვარ, რუსეთი ამ კონფლიქტში მონაწილეობს.. დიდი ხნით? ყველა მასზე ლაპარაკობს, რუსეთი ისე, რუსეთი ასე...

ამერიკელები კი უკვე დიდი ხანია, სირიაში იმყოფებიან და ისმის კითხვა — რა უნდათ სირიისგან და რით დაიმსახურა ასადმა მათი რისხვა? ამბობენ, კატარს უნდოდა ხმელთაშუა ზღვამდე გაზსადენის გაყვანა სირიიდან, მაგრამ თუ რუკას კარგად დავაკვირდებით, ეს ყველაზე გრძელი გზაა, უფრო მოკლე კი საუდის არაბეთზე გადის.

სხვები ამბობენ, რომ იქ არის კონფლიქტი სუნიტებს და ალავიტებს შორის, მაგრამ პრეზიდენტ ასადის ცოლი სუნიტია. ყველა გენერალი, რომელიც ასადის მხარეს იბრძვის — სუნიტია. მთავრობის მინისტრები სუნიტები არიან. თავად ასადმაც, მგონი, სუნიტური რწმენა მიიღო.

ვერ ვივიწყებ, რითი დაიწყო აშშ-მ ამ რეგიონში? — ერაყით. მერე იყო ლიბია, სომალი, სუდანი, ავღანეთი და ეგვიპტე, სადაც ვერ შეძლო თავისი მიზნების მიღწევა გენერალი სისის აჯანყების გამო, თორემ დღეს ეგვიპტეში ისეთივე ქაოსი იქნებოდა, როგორიც ლიბიაში. ამ ყველაფრის უკან კი დგას ამერიკა.

ხშირად მესმის, ამერიკას ყველაფერი არ შეუძლია: ჩაერია ერაყის საქმეებში — დატოვა ქაოსი, ჩაერია ლიბიის საქმეებში — დატოვა ქაოსი. გამოდის, აშშ ყველგან შეცდა? მაშინ ვეკითხები საკუთარ თავს: როგორ შეიძლება ასეთი სპეცსამსახურების მქონე ქვეყანა ამდენჯერ ცდებოდეს? იქნებ მე ვცდები? იქნებ არის მის მოქმედებებში რაღაც ლოგიკა? კონკრეტული სისტემა?

## იყო გეგმა - თავდასხმა მომხდარიყო 7 ქვეყანაზე

**შევეცადოთ, გავიგოთ. ნახეთ:**

**ყველა რუსეთზე ლაპარაკობს, მაგრამ გაიხსენეთ, რუსებმა ლიბანი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დათმეს. ამის გამო მედვედევს ყველანაირად უტევენ. რუსეთმა ამერიკას ყელაფრის კეთების უფლება მისცა: ერაყი გინდათ დაანგრიოთ? კი, ბატონო! ლიბია გინდათ? კი, ბატონო — და გაჩერდნენ მხოლოდ სირიაში.**

ახლა ვსვამ კითხვას — ამერიკას მხოლოდ ეშლება და დესტაბილიზაციას თესავს ამ ხელა რეგიონში? შემთხვევით გამოსდის?

ახლა მოვიყვან ორ ფაქტს — არის ასეთი პიროვნება — უელსი კლარკი, რომელიც ხელმძღვანელობდა იუგოსლავიის დაბომბვას.



როლანდას პაულაუსკასი

## როლანდას პაულაუსკასი:

# ...და ამ არეულობაში მიძვრება რუსეთი...

ნახეთ იუთუბზე მისი ინტერვიუ:

— „2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მივედი პენტაგონში. ერთმა გენერალმა მიმიწვია თავისთან. შემოდით მისტერ, უნდა დაგელაპარაკოთ. მითხრა, რომ უნდა დავესხათ ერაყს. მე ვკითხე, თავდასხმა ერაყზე? მაგრამ რატომ? მან მითხრა: მე არ ვიცი. მე იმედი მაქვს, რომ მათ იციან, რასაც აკეთებენ. დავინტერესდი — იქნებ რაიმე კავშირი ნახეს სადამ ჰუსეინსა და ალ-ქაიდას შორის? — არაფერიც არ უნახავთ, — მიპასუხა გენერალმა. ჩვენ არ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ ტერორისტების წინააღმდეგ და რადგან კარგი არმია გვყავს, შეგვიძლია მთავრობის დამხობაო.

რამდენიმე კვირის შემდეგ ისევ მივედი, მაშინ უკვე ავღანეთს ვბომბავდით. ვიკითხე — კიდევ იგეგმებოდა ერაყზე თავდასხმა? გენერალმა კი მიპასუხა — არა! გაცილებით უარესი: დღეს თავდაცვის სამინისტროდან მოვიდა მემორანდუმი, რომელშიც წერია, რომ 5 წლის განმავლობაში უნდა მოხდეს თავდასხმა 7 ქვეყანაზე, დაიწყება ერაყში, მერე სირია, ლიბანი, ლიბია, სომალი, სუდანი, ირანი“.

გესმით? ამას უელსი კლარკი ამბობს ინგლისურ ენაზე ჯერ კიდევ 2001 წელს!

და მეორე ფაქტი: ბუშის პრეზიდენტობის დროს კონდოლიზა რაისმა თქვა, 60 წელი ახლო აღმოსავლეთში და აფრიკაში ვაწარმოებდით პოლიტიკას, რომ მხარს ვუჭერდით დიქტატორებს, რომელთა მეშვეობით ვაკონტროლებდით ქაოსს, ახლა ვცვლით ტაქტიკას და ისინი, ვინც ჩვენი მეგობრები იყვნენ, აღარ იქნებიან მეგობრები, ჩვენ შემოგვაქვს ქაოსის კონტროლირებადი იდეა...

და შემოიტანეს კიდეც.

## ხალიფატის იდეა - რუსეთის უტოპია 1917 წელს

**რატომ ჩაება რუსეთი ამ ყველაფერში მხოლოდ ბოლო დროს? ისლამური სახელმწიფო და მსოფლიო ხალიფატი აღვიქვით, როგორც საშინელება, არადა, ისინი კონკრეტული იდეის მატარებლები არიან. არაბულ სამყაროში, სადაც მილიარდზე მეტი ადამიანია, მათი იდეები ეფუძნება რელიგიას და სოციალურ სამართლიანობას, ამ იდეას ჰყავს ბევრი თაყვანისმცემელი.**

ეს ხალიფატი სთავაზობს ახალ უტოპიას, რომელიც რაღაცით ჰგავს იმას, თუ რა მოხდა 1917 წელს რუსეთის იმპერიაში, როცა გაბატონდა ბოლშევიკების მოწინავე იდეოლოგია და ბევრი ადამიანი მიიმხრო. ყველაფერი იხრჩობოდა სისხლში, მაგრამ ხალხი არ თმობდა იდეას. ასე რომ, მსოფლიო ხალიფატს უზარმაზარი პოტენციალი აქვს და რადგან იგი არ არის მიბმული კონკრეტულ ტერიტორიაზე, მასთან ბრძოლა თითქმის შეუძლებელია. შეუძლებელია ებრძოლო იდეას...

## რუსებს ანგარიშები გაუყინეს, ISIS-ს კი - არა

**თითქოს ყველა ებრძვის ხალიფატს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისლამური სახელმწიფო თურქეთზე ყიდის ნავთობს, რომელიც ნატოს წევრი ქვეყანაა, აშშ-ის მოკავშირე, და რატომღაც ისინი ისლამურ სახელმწიფოს ამის ნებას აძლევენ, რითაც საკუთარ ბიუჯეტს უქმნიან.**

ისლამური სახელმწიფო იღებს ფულს საუდის არაბეთიდან, კატარიდან და თურქეთიდან. თუ ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებმა რუსეთს ანგარიშები გადაუკეტა, რატომ არ შეიძლება, დაიბლოკოს საუდის არაბეთის ოჯახების, კატარის, თურქეთის ანგარიშები? დიდი ხანია, ამის გაკეთების დრო მოვიდა.

შემდეგ: არტეფაქტები სირიის და ერაყის მუზეუმებიდან ერაყის და თურქეთის გავლით მოდის. ეს არის მოპარულით ვაჭრობა. და კიდევ, ვაჭრობენ ადამიანებით. და ამას ნატოს ქვეყნები აკეთებენ და ევროკავშირმა ყველაფერი მშვენივრად იცის. არ გეჩვენებათ უცნაურად, რომ ამ ყველაფერს ფინანსების საშუალებით მოახრჩობდნენ, მაგრამ რატომღაც ამას არ აკეთებენ?

და რა ხდება ახლა? ტერორისტები სირიის ქუჩებში კედლებზე წერენ: **დღეს — სირია! ხვალ — რუსეთი! ზეგ — ჩინეთი!** ისინი არც კი მალავენ, სად წავლენ და ვინ იქნება შემდეგი სამიზნე. ეს ხალიფატი პრეტენზიას აცხადებს ჩინეთის მუსლიმებზე, რუსეთის მუსლიმებზე, შუა აზიაზე რომ არაფერი ვთქვათ! ირანზეც, ინდოეთზეც და მიგრანტების საშუალებით — ევროპაზეც.

როგორც ჩანს, მათ არაფერი ესაქმებათ ამერიკასთან, ჯერ ერთი, რომ შორია და მეორეც, ამერიკა ყველაზე საშიშ მტრად რუსეთს და ჩინეთს მიიჩნევს. და ეს ხალიფატი ვის წინააღმდეგაა მიმართული? რუსეთის და ჩინეთის წინააღმდეგ, თქვენ შეებრძოლებოდით ამ წარმონაქმნს, რომელიც ასეთი საჭიროა თქვენთვის?

## ამერიკის მთავარი საფრთხე - კავშირი მოსკოვსა და ბერლინს შორის

**„სტრატფორის“ (დაზვერვის ანალიტიკური ცენტრი, რომელსაც ხშირად „ჩრდილოვან ცსს“-დ მოიხსენიებენ), პრეზიდენტმა ჯორჯ ფრიდმანმა განაცხადა, რომ მათი მთავარი ამოცანაა, არ მისცენ გერმანიასა და რუსეთს დაზავების საშუალება, ისლამი — ეს აშშ-ის პრობლემაა, მაგრამ არა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ყველაზე დიდი საფრთხე რუსეთ-გერმანიის კავშირია. არ უნდა დაუშვათ ამ კავშირის არსებობაო.**

განა ამ ხალიფატმა დევნილების მეშვეობით არ შეუწყო ამას ხელი?

აშშ-ის ადგილზე ცივ ნიავსაც არ მივაკარებდი ამ ხალიფატს და მივუშვებდი იმ ქვეყნებზე, რომელიც მომინდებოდა.

* * *

## ახლა კი ლიბიაზე

**ყველა ეს პროცესი, რაზეც ვისაუბრეთ, ერთობლივად ქმნის გლობალურ პრობლემას, და ლიტვა, რომელიც, უბრალოდ, პაიკია ამ პროცესებში და უკეთესი იქნება გვერდიდან უყუროს მოვლენების განვითარებას, ებმება მათში და კონფლიქტის ერთ მხარეს დგება. როცა არის კონფლიქტი, არის გამარჯვებულიც და ვინც იქნება გამარჯვებული, ის გადაწყვეტს ჩვენს სახელმწიფოებრიობას.**

**ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რომ დამოკიდებული ვიყოთ გამარჯვებულზე.**

**ეს ჩვენი სისულელის შედეგია.**

http://cont.ws

# „ნაციონალები მუშაობენ, რათა მართლმსაჯულების სისტემაში მურუსიძისნაირი კლონები გაამწესონ“

**საძართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ლევან მურისიძის მიერ 2006 წლის 23 ივნისს გამოტანილი განაჩენის მიხედვით, კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მურუსიძემ მოლაშვილი საპატიმროში ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე გაამწესა. მურუსიძის მიერ გამოტანილი განაჩენის საპირისპირო იყო სტრასბურგის სასამართლოს განაჩენი, რომელმაც დაადგინა, რომ მოლაშვილის მიმართ დარღვეული იყო სამართლიანი სასამართლოს უფლება.**

**რატომ იღებდა პოლიტიკურ განაჩენებს მურუსიძე და რა მოტივით სურთ ნაციონალებს მისი სააპელაციო სასამართლოში გამწესება? ამ საკითხებთან დაკავშირებით სულხან მოლაშვილი გვესაუბრება.**

**— თქვენი საქმე არის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე, რომელსაც ხელს აწერს ლევან მურუსუძე. რამდენად სწორად მიგაჩნიათ მისი ინიციატივა, რომ ძველი საქმეები არ უნდა გადაიხედოს?**

— იურისტის მხრიდან იმის განცხადება, რომ ძველი საქმეები არ უნდა გადაიხედოს, არც მეტი, არც ნაკლები, ან უვიცობაა, ან ძალიან სერიოზული არაპროფესიონალიზმის აშკარა დასტური. იურისტი ფასდება მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილებებით და მხოლოდ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი, რომლითაც შეგვიძლია შევაფასოთ ამა თუ იმ მოსამართლის პროფესიონალიზმი, განსწავლულობა და კვალიფიკაცია. თუკი მოსამართლე უარყოფს მიმდინარე გადაწყვეტილების გამოქვეყნებას, ე.ი. მას რაღაცა აწუხებს, რაღაცა აქვს დასამალი და ამიტომაც ერიდება ამის საჯარო განხილვას და მით უმეტეს მაშინ, როდესაც ხელახლა წყდება ამა თუ იმ პერსონის მოსამართლედ გამწესების საკითხი.

**— მურუსიძე აცხადებს, რომ მას, როგორც მოსამართლე, წამების ფაქტზე არ შეეძლო რეაგირება...**

— მურუსიძე თვალთმაქცობს როცა ლაპარაკობს, რომ მხოლოდ წამების ფაქტზე არ შეეძლო რეაგირება. დავუშვათ, მართლა არ შეეძლო წამების ფაქტზე რეაგირება და ეს პოზიცია მართალია, მაშინ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ მან არ გაამახვილა ყურადღება ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის იმ არსებით დარღვევებზე, რომელიც ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას?

ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ მოლაშვილის მიმართ დარღვეული იყო სამართლიანი სასამართლოს უფლება. ამასთან, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო ევროპის კონვენციის მე-5 მუხლი, რომელიც უკანონო პატიმრობას. ითვალისწინებს თუკი ევროპის სასამართლო ცოტა ხანში მიხვდა, რომ სულხან მოლაშვილი საქმის მასალების მიხედვით უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა, რატომ ვერ მიხვდა ამას მურუსიძე?!

**— ვერ მიხვდა, თუ ამის პოლიტიკური ნება არ არსებობდა?**

— ორიდან ერთია, ან არაკომპეტენტური იყო და ვერ დაინახა ის, რაც უნდა დაენახა, ან მეორე — რაც უკვე დადასტურებულია — ის ასრულებდა პოლიტიკურ დაკვეთას. მურუსიძე რომ პოლიტკურ დაკვეთას ასრულებდა, ასევე დაადასტურა სტრასბურგის სასამართლომ, რომელმაც დაადასტურა პრაქტიკაში უიშვიათესი მუხლის დარღვევა, რომელიც აშკარად მიუთითებს ჩვენი მოსამართლეების პოლიტიკურ მიკერძოებულობაზე. ეს გახლავთ კონვეციის მე-14 მუხლი, რომელიც გულისმობს პოლიტიკური დისკრიმინაციის აკრძალვას.

**— ანუ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თქვენ იყავით პოლიტიკური დისკრიმინაციის მსხვერპლი?**

— დიახ ასეა. თუკი ეს ვერ დაინახა მურუსიძემ, რაც საქმეში იდო, მაშინ რა დაინახა?! საქმეში იდო მიხეილ სააკაშვილის და კოტე კუბლაშვილის წინასწარი განცხადება, არ შეეძლო მურუსიძეს, ამოეკითხა, როგორ ხდება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა? გარდა ამისა, საქმეში იდო არასწორად შედგენილი ოქმები, არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ წინასწარ პატიმრობის მისჯა, მაშინ, როდესაც მე თანამდებობით უზენაესი სასამართლოს განსჯადი ვიყავი.

არ დაკითხეს ექსპერტი, დასახელებული 46 მოწმიდან არც ერთი ჩვენი მოწმე არ დაკითხეს. როცა ეს ყველაფერი „ვერ დაინახა“ მურუსიძემ, ამის შემდეგ შეიძლება მის გადაწყვეტილებას სამართლიანი ეწოდოს? არა ბატონო, და ეს არ გახლავთ ჩემი მოსაზრება, ევროპის სასამართლოს ვერდიქტმა დაადასტურა, რომ მურუსიძემ და მისმა კოლეგებმა შეასრულეს პოლიტიკური დაკვეთა. ამიტომაც, ასეთი ადამიანი არ შეიძლება იმსახურებდეს მოსამართლის პოსტზე ხელახლა გამწესებას. მურუსიძე იყო სისხლიანი ჯალათი, ის ასრულებდა პოლიტიკურ დირექტივებს და ამით ანგრევდა კანონიერების ყოველგვარ პრინციპს.

**— რატომ იბრძვის მურუსიძე მოსამართლეობისთვის?**

— ამისთვის მურუსიძე არ იბრძვის, ამისთვის იბრძვის ნაციონალური მოძრაობა. ესენი არიან ნაციონალური მოძრაობის ზონდერ მოსამართლეები, რომლებიც ემზადებიან საარჩევნოდ. როგორც „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული სასამართლო პროცესები ცხადყოფს, ყველანაირი მეთოდებით სურთ, მიაღწიონ უსამართლობას. ამ უსამართლობის მიღწევის გზაზე მათი ერთ-ერთი ბერკეტია სამართალდამცავ სტრუქტურებში გაბნეული ხალხი და, პირველ რიგში, სასამართლო სისტემაში დანიშნული მათი ნარჩენები — ე.წ. ჯალათი მოსამართლეები.

მურუსიძემ რომც არ მოინდომოს მოსამართლეობა, ბოკერია-ადეიშვილი-სააკაშვილის ხელმძღვანელობით დაავალებენ, კენჭი იყაროს მოსამართლეობაზე. ნაციონალები მუშაობენ იუსტიციის საბჭოს წევრებზეც, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მურუსიძისნაირი კლონები უნდა გაამწესონ მართლმსაჯულების სისტემაში, რათა მიაღწიონ თავიანთ საწადელს. ტყუილად არ ვახსენე „რუსთავი-2“-ის პროცესი, ეს პროცესები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში ხდება. ასეთივე საქმეები შეიძლება დაკავშირებული იყოს არჩევნებთან, რომელიც იქნება ადმინისტრაციული წარმოების და, როგორც მე ვიცი, მურუსიძეს სწორედ ადმინისტრაციულ პალატაში სურს მუშაობა.

**— თუკი იუსტიციის საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია ნაციონალურ მოძრაობასთან დაახლოებული მოსამართლეებით, რომლებიც მურუსიძის გავლენის ქვეშ არიან, მხარს დაუჭერენ მურუსიძის კანდიდატურას, ამ შემთხვევაში, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ნაწილდება საბჭოს წევრებზე? იმიტომ, რომ ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანზე, რომლის ბიოგრაფია დატვირთულია პოლიტიკური განაჩენებით და რომელიც სტრასბურგის სასამართლოს განაჩენებით არის შეცვლილი...**

— სამართლიანი და საინტერესო შეკითხვაა, რომელიც პასუხსაც შეიცავს და ჭკვიანი მკითხველი აქვე ამოიკითხვას პასუხს. პოლიტიკური პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად ნაწილდება იუსტიციის საბჭოზე, როგორც მთლიანად ინსტიტუციაზე, ასევე მის ცალკეულ წევრზე, იმიტომ, რომ ისინი ეთანხმებიან და იწონებენ მის მიერვე მიღებულ გადაწყვეტილებებს და ამით გზას უკაფავენ ახალი დანაშაულისაკენ.

ამით იყო განპირობებული ჩემი მიმართვა იუსტიციის საბჭოს წევრებზე, რომ თავი შეიკავონ გაუფრთხილებელი ხმის მიცემისაგან, ვიდრე არ გაეცნობიან ამ საქმეთა შინაარსს. ამ საქმეების უკან გირგვლიანის, მოლაშვილის, ბათიაშვილისა და სხვების ბედი არ არის მხოლოდ, არამედ უამრავი ჩვენი გაუბედურებული მოქალაქის ცხოვრება არის. თუკი ამაზე ხელს მოაწერს საბჭოს რომელიმე წევრი, ისიც გაითვალისწინოს, რომ საკუთარ თავზე იღებენ ამ პასუხისმგებლობას და იზიარებენ მის ბედს და ლევან მურუსიძის დამქაშების სახელით შევლენ მართლმსაჯულების ისტორიაში.

**თამთა ძარჩავა**

◎ ვინ იქნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი?

# ქადაგიძის შემცვლელის შერჩევა დაწყებულია

**2-3 კვირაში ეროვნული ბანკის ახალი წევრის ვინაობა ცნობილი გახდება, ხოლო შობა-ახალი წლის შემდეგ ქადაგიძის შემცვლელის კანდიდატურაც გაირკვევა. სებ-ის ახალი პრეზიდენტის შერჩევა იოლი არ იქნება, აქ ბევრი ვარიანტი და კომბინაცია შეიძლება გათამაშდეს.**

ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის **გიორგი აბაშიშვილის** განცხადებით, ექსპერტებთან შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ დეკემბრის დასაწყისისთვის დასახელდება ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის კონკრეტული კანდიდატურები.

**„როგორც იცით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს ვადა ეწურება 2016 წლის თებერვალში. შესაბამისად, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის კანდიდატი არის შესარჩევი, ანუ — ქადაგიძის ადგილმონაცვლე ეროვნული ბანკის საბჭოში. გვქონდა კონსულტაციები ექსპერტებთან. შევთანხმდით, რომ მათი მხრიდან დასახელდება კანდიდატურები და ჩვენ უკვე დეკემბრის დასაწყისიდან გადავალთ მსჯელობაზე“,** — განაცხადა აბაშიშვილმა.

უკვე იანვრის პირველ ნახევარში პრეზიდენტი დასახელებს ქადაგიძის ადგილმონაცვლის კანდიდატურას.

**„რაც შეეხება კრიტერიუმებს, იგი უნდა იყოს პროფესიონალი ეკონომიკისა და ფინანსების მიმართულებით, ჰქონდეს ძალიან კარგი პრაქტიკული გამოცდილება, იმავდროულად იყოს აბსოლუტურად თავისუფალი და არ იყოს კითხვის ნიშნები, პოლიტიკურ გავლენასთან მიმართებაში“,** —განაცხადა აბაშიშვილმა.

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები და ვინ შეცვლის ქადაგიძეს? 17 ნოემბრის შეხვედრაზე ქადაგიძის შემცვლელის კანდიდატურა არ დასახელებულა. ამ ეტაპზე გამორიცხულია, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ დღეს მოქმედი ეროვნული ბანკის საბჭოს რომელიმე წევრის კანდიდატურას მომავალ პრეზიდენტად მხარი დაუჭიროს. საქმე ისაა, რომ საბჭოს წევრთა უმეტესობას ვადა სწორედ 2016 წელს გასდის (ზოგს წლის დასაწყისში, ზოგს წლის ბოლოს), ამიტომ, გამორიცხული არ არის, მთავრობამ რამდენიმე თვე კიდევ დაიცადოს.

ეკონომისტი **ლევან კალანდაძე** ვარაუდობს, რომ 2016 წლის დეკემბრამდე ქადაგიძეს მისივე გუნდის წევრი და ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი არჩილ მესტვირიშვილი შეცვლის.

**„მე ვუშვებ ვერსიას, რომ დროებით ბანკის პრეზიდენტის უფლებამოსილება შეასრულოს მესტვირიშვილმა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გიორგი მარგველაშვილი არ დაასახელებს შესაბამისი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე კანდიდატურას“,** — აღნიშნავს კალანდაძე.

იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკის საბჭოს მეშვიდე წევრს, რომელსაც პრეზიდენტი უახლოეს თვეებში წარადგენს, პარლამენტი არ დაამტკიცებს, პრეზიდენტს ხელმეორედ მოუწევს ახალი კანდიდატურის მოძებნა. ბოლო 1 წლის განმავლობაში ეროვნული ვალუტის კურსის რყევის ფონზე, გამორიცხული არ არის, სებ-ის ახალი პრეზიდენტის და ზოგადად გუნდის შერჩევის პროცესში, მთავრობის ეკონომიკურ გუნდსა და ეროვნული ბანკის გუნდს შორის გარკვეული შეთანხმებაც შედგეს.

**ბექა დანელია**

◎ ეს კარგია!

# ხალხური რეწვა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობაა

**კულტურული მემკვიდრეობა არის ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი ეკონომიკური აქტივი, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის პროგრამის „ხალხური რეწვის დარგის განვითარება“ პრეზენტაციაზე განაცხადა.**

**დიმიტრი ქუმსიშვილის თქმით, აღნიშნული პროგრამა არის საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული და გამჭვირვალე და მან ხელი უნდა შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას ამავე კონტექსტში.**

**„ხალხური რეწვის“ ტრადიცია, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია ნამდვილად საჭიროებს მხარდაჭერას. ამ მიმართულებით, მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის ინიციატივა მისასალმებელია, რადგან თვითონ სტრუქტურა ჩამოყალიბებულია საკმაოდ გამჭვირვალედ და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მეწარმეობის ხელშესაწყობად“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.**

**ამავე კონტექსტში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ტურიზმის განვითარებაზეც ისაუბრა.**

**„ჩვენ ათი თვე დავხურეთ 6%-იანი ზრდით და პრაქტიკულად, 4 950 000 საერთაშორისო ვიზიტიორზე გავედით, რაც იმას ნიშნავს, რომ წლის ბოლოს 6 მილიონ საერთაშორისო ვიზიტიორზე გავალთ. ამ ვიზიტიორებიდან მნიშვნელოვანია თვითონ ტურისტების ნაწილის ზრდა, 67%-ზე ვართ ასული ტურისტებზე. ესაა ის ადამიანები, ვინც ჩამოდიან ჩვენთან და ხარჯავენ ფულს. ტურიზმის განვითარების და ხელშეწყობის ნაწილი არის სწორედ ხალხური რეწვა, რომლის პოპულარიზაციაში უნდა მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულმა პროექტმა“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.**

ინტერპრესი

## ზვიად ქვაჭანტირაძე:

# თითქმის გამორიცხულია, რომ ვიზალიბერალიზაცია არ მივიღოთ

**ქვეყნის საგარეო მიმართულებაზე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის თანათავმჯდომარე, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად ქვაჭანტირაძე გვესაუბრება.**

**— ევროპარლამენტარმა ანდრეი მამიკინსმა განაცხადა, რომ საქართველოს ყველა შანსი აქვს, 2016 წელს ვიზალიბერალიზაცია მიიღოს. რეალურად, რა შანსები აქვს ქვეყანას?**

— მამიკინსი ევროპარლამენტში საქართველოს თემაზე მომხსენებელია. აქედან გამომდინარე, მისი ინფორმირებულობის ხარისხი საკმაოდ მაღალია და უნდა ვივარაუდოთ, რომ მას მაქსიმალურად შეგროვებული ინფორმაცია აქვს, საქართველოს ვიზალიბერალიზაციას თუ რა ბედი ელის. მამიკინსმა მხარი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მიერ მიღებულ რეზოლუციასაც დაუჭირა, სადაც საქართველოს მიღწევები და პროგრესი ხაზგასმულია. ჩემთვის მამიკინსის აღნიშნული განცხადება არის იმის დამატებითი მოტივაცია, რომ ქვეყნის მიზნის მიღწევაზე მოლოდინი მქონდეს.

**— ანუ, შეიძლება ითქვას, ევროპა მიზეზებს არ ეძებს, რომ საქართველოს უვიზო მიმოსვლა არ მისცეს?**

— საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ფედერიკა მოგერინი იმყოფებოდა, რომელიც ვიზალიბერალიზაციის პროცესთან დაკავშირებით ყველაზე ინფორმირებული პირია. მისი ვიზიტი მრავალმხრივი იყო და ის უმაღლეს დონეზე ყველას შეხვდა. მასთან ხანგრძლივი საუბარი გვქონდა და მისგან არცერთი სიტყვა ან საყვედური არ გაგვიგია. ასევე მისგან ის ფრაზებიც არ გვსმენია, რომლითაც ჩვენი ოპონენტები ასე გაბედულად ჟონგლიორობენ. მას სიტყვა — შეშფოთება ერთხელ არ უხსენებია, ისევე როგორც თავისუფალი სიტყვის შეზღუდვა და პოლიტპატიმრები. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ჩვენ პოლიტპატიმრები არ გვყავს და დაკავებული ყოფილი თანამდებობის პირები არიან, რომელთაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს.

**— თუ საქართველო ევროპასთან უვიზო მიმოსვლას მიიღებს, ამას ქვეყანა რამდენად მომზადებული შეხვდება? მოსახლეობის გადინების და უკან მათი არდაბრუნების რამდენად დიდი საფრთხე არსებობს?**

— ყველა შეხვედრაზე ვითხოვთ — მეტ ევროპას საქართველოში. ქვეყანაში ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციას ისე არ ვეწევით, როგორც ამის საჭიროება დგას. ნატო-ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრები იქმნება და, მგონია, რომ ეს პროცესი გვიანდება. ამ ცენტრების გამართული მუშაობისთვის ევროკომისიის მხრიდან სერიოზული მხარდაჭერა გვჭირდება. მოგერინიმ დაადასტურა, რომ ევროკავშირი საქართველოს ყველაზე რეალურ და სანდო პარტნიორად განიხილავს და ჩვენზე ბევრ იმედს ამყარებენ. მათ შორის, რეგიონში სტაბილურობის თვალსაზრისით. საქართველოში ევროკავშირის იდეების პოპულარიზაცია ვერ ხდება. ჩვენ ვიჟინებთ, რომ მენტალიტეტით ევროპელები ვართ. ეს მას შემდეგ მოგვდევს, რაც ცხონებულმა ზურაბ ჟვანიამ თქვა — „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. მას შემდეგ, ამ ფრაზას ვიმეორებთ, მაგრამ ამას კონტექსტით ისე არ ვავსებთ, როგორც ეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება. ამაში დიდი როლი არა მხოლოდ ხელისუფლებას მიუძღვის, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. რადიოში გამოკითხვა იყო — მოლოდინი გაქვთ თუ არა, რომ ვიზალიბერალიზაციას მივიღებთო. ისევ ასაკი უნდა ვახსენო. ეთერში ხანდაზმული ადამიანებიც რეკავდნენ, რომელთათვისაც შესაძლებელია, უვიზო მიმოსვლას პირდაპირი შედეგი არ მოჰყვეს, მაგრამ არ შეიძლება, პროცესის ღრმა ანალიზი არ გავაკეთოთ. ვიზალიბერალიზაცია შენგენის ქვეყნებში მხოლოდ 90 დღით დარჩენის საშუალება არ არის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ, საქართველოს მოსახლეობის ნახევარი ევროპულ ქვეყნებში სამუშაოს საძებნელად წავა. „DCFT“-ის ხელშეკრულების სიკეთეების განსახორციელებლად ვიზალიბერალიზაცია აუცილებელი პირობაა. ადამიანებს საშუალება უნდა მიეცეთ, რომ იმოგზაურონ, ბიზნესკონტაქტები დაამყარონ და შესაძლო პარტნიორები მოძებნონ.

**— თქვენ თქვით, რომ ხელისუფლების სურვილია — „მეტი ევროპა“ საქართველოში, თუმცა, ვხედავთ, რომ ქვეყანაში — „მეტი რუსეთი“ წინაურდება. ფაქტია, რომ პრორუსული განწყობები მატულობს და ისინი ევროპის მიმართ ნიჰილიზმს ბადებენ. მათ რას უპირისპირებთ?**

— მართალი ხართ იმაში, რომ ევროპაში ე.წ. რუსული რბილი ძალა საკმაოდ მომძლავრდა. მათ შორის, ამერიკაში. ყველგან, სადაც რუსეთს თავისი ინტერესები გააჩნია, ისინი „soft power“-ის გაძლიერებაზე ზრუნავენ. საქართველოში რუსული არხების მაუწყებლობა არ ხდება, მაგრამ საკაბელო ქსელებით ქვეყანაში რუსული პროპაგანდისტური არხები აჩვენებს. რუსები სხვადასხვა გზებით რაღაც ღონისძიებების დაფინანსებას და ჩატარებას ცდილობენ. რატომღაც, ცოტა ხნის წინათ, საქართველოში რუსული ფილმის ფესტივალი ჩატარდა.

**— წინა ხელისუფლების პირობებში, რუსული პროპაგანდა აკრძალული იყო. პრორუსული ძალებისთვის პოლიტიკური ტრიბუნა თქვენი ხელისუფლების პირობებში გაიხსნა. რატომ?**

— შეიძლება, ვიცი, რომ ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციასა და პარტიას რუსული ფული შემოსდიოდეს, მაგრამ ამის იმპერატიულ მტკიცებას ვერ დავიწყებ. თუკი ეს ჩვენს ქვეყანას ხელს უშლის, მაშინ საკანონმდებლო დონეზე შესაბამისი ზომები უნდა მივიღოთ. ზოგიერთ ადამიანს ნიჰილიზმის გრძნობა უჩნდება, ზოგიერთი დაბნეულია, ზოგი კი იმას აპროტესტებს, რასაც ზოგჯერ, ზოგიერთი დასავლელი თუ ევროპელი პოლიტიკოსი ამბობს. ისინი იქით მზერას იწყებენ, რომელიც მათთვის ისტორიულად ნაცნობია. ეს პროცესები ძალიან არ მომწონს და ჩემში დიდ პროტესტს იწვევს. ამიტომ, ყველგან, სადაც ხმა მიმიწვდება, ჩემს კოლეგებს ვეუბნები — მეტი ევროპა, მეტი დასავლეთი საქართველოში. ჩვენი ქვეყნის მიტოვება არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება. გამორიცხულია, რომ ვიზალიბერალიზაცია არ მივიღოთ.

**— თქვენ გამორიცხავთ, რომ ქვეყანას უვიზო მიმოსვლა არ მისცენ, მაგრამ თუკი ევროპა საქართველოს ისევ მოლოდინის რეჟიმში ამყოფებს და უახლოეს თვეებში ვიზალიბერალიზაციას არ მისცემს, ეს რა საფრთხეებს შეიცავს? საზოგადოებაში ანტიევროპული განწყობები ხომ არ გაიზრდება?**

— თუკი ამ ეტაპზე, ეს გეგმა ჩაგვივარდება, შეიძლება, საზოგადოებაში იმდენად დიდი ნაპრალი გაჩნდეს, რომ მის ამოვსებას ძალიან ხანგრძლივი დრო დასჭირდეს. საქართველოში, რაც შეიძლება მეტი ევროპული პროექტი უნდა განხორციელდეს და ეს დღეს უნდა მოხდეს და არა — ხვალ. ეს ჩვენი ბოლო შანსია.

**— რაც შეეხება ვარშავის სამიტს, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი „MAP“-ს ითხოვს, მაგრამ თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? დასავლელი ლიდერები შიდა საუბრებში რას აცხადებენ?**

— თავდაცვის მინისტრს ამ პათოსში მხარს ვუჭერ. ხიდაშელი მაქსიმუმს ითხოვს, რომ აუცილებლად მისაღები მივიღოთ. უახლოეს მომავალში ისეთი მომენტი დადგება, როცა ნატოში ჩვენი პარტნიორები საქართველოს საკითხს ძალიან სერიოზულად დაუბრუნდებიან და ქვეყნის ალიანსთან სწრაფი დაახლოების საჭიროებას დაინახავენ. ეს გარდაუვალია, რადგან რეგიონში, თურქეთის გარდა, ნატოს ერთადერთი პარტნიორი საქართველოა. კავკასიის ქედიდან ბარენცის ზღვამდე მთელი პერიმეტრი რუსების მიერ კონტროლდება, ხოლო სამხრეთ კავკასიიდან წითელ ზღვამდე მთელი პერიმეტრი ისლამური სახელმწიფოს ტერორის ქვეშ არის და ევროპისთვის და ამერიკისთვის საქართველო და აზერბაიჯანი ერთადერთი საჰაერო სასუნთქი საშუალებაა.

**— ნატოში სკეპტიკოსები გერმანია და საფრანგეთი არიან. ეს ქვეყნები საქართველოსგან რას ითხოვენ და ქართული მხარე რას ვერ აკმაყოფილებს იმისათვის, რომ ქვეყანას „MAP“ მისცენ?**

— ცოტა ხნის წინათ, ინტერვიუ რუსულ გამოცემებს მივეცი და მსგავსი კითხვა მათ დამისვეს. ვფიქრობ, რომ ამ ორ ქვეყანაში ისევ და ისევ „soft power“-ის გავლენაა. ეს იმის გავლენაა, რომ საფრანგეთსა და გერმანიაში ისეთი ადამიანები არიან, რომელთაც პოლიტიკაში ჭკუა მოეკითხებათ და ისინი საკუთარი ქვეყნის ინტერესებს უფრო წინ აყენებენ, ვიდრე, ზოგადად, ევროპული უსაფრთხოების ინტერესებს. ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, რადგან სხვა ახსნას არც ისინი გვაძლევენ. ისინი ყველაფერში მხარს გვიჭერენ და გვეთანხმებიან, მაგრამ, როცა გადაწყვეტილების მიღების დრო დგება, ისინი მხარდაჭერისგან თავს იკავებენ.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ საფრანგეთსა და გერმანიაზე რუსული გავლენა მძლავრობს?**

— ნატოსგან პირობა გვაქვს მიღებული, რომ საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება.

**— რომელ წელს?**

— ეს კითხვა დღის წესრიგში ისევ დგას. ეს პირობა მესიჯად მივიღეთ, მაგრამ ამის შემდეგ საკმაო დრო გავიდა, რომ ამ თეზისის უფრო მეტად დაკონკრეტება შესაძლებელი ყოფილიყო. ვფიქრობ, რომ მომავალ სამიტზე, საქართველოსთან დაკავშირებით როგორც მინიმუმ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს.

**— რომ დააზუსტოთ, თქვენ ფიქრობთ, რომ ვარშავის სამიტზე, საქართველო როგორც მინიმუმ „MAP“-ს მიიღებს?**

— უფრო მეტი კონკრეტიკა იქნება.

**— უფრო „უკეთესი“ იქნება, ვიდრე „MAP“?**

— უფრო უკეთესი. მომავალ სამიტზე უფრო მეტი კონკრეტიკა გვჭირდება იმისთვის, რომ არც მოტივაცია არ დავკარგოთ და ამ მოტივაციის დაკარგვით ჩვენი შესაძლებლობები წყალს არ გავატანოთ.

**ესაუბრა**
**ნინო ხვადაგიანი**

**მძიმე პერსპექტივა**

# გაზაფხულისთვის ინფლაცია პიკს მიაღწევს?

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ინფლაციასთან დაკავშირებით მორიგი პროგნოზი გამოაქვეყნა და საკმაოდ მძიმე პერსპექტივაც გამოჩნდა. სებ-ი წლის ბოლოსთვის ინფლაციის 6%-მდე გაზრდას ვარაუდობს, ხოლო მომავალი წლის პირველ კვარტალში კი 7%-ს გადააჭარბებს.**

ოქტომბერში წლიური ინფლაცია 5.8%-ს შეადგენს და ეროვნული ბანკის 5%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს კარგა ხანია, რაც გადააჭარბა. ეროვნულ ბანკში მიაჩნიათ, რომ ინფლაციის ზრდა კვლავწარმოების შუალედური ხარჯების ზრდამ გამოიწვია, რასაც უცხოური ვალუტის სესხებზე მომსახურების ტვირთის ზრდა განაპირობებდა. პარალელურად, ლარის დევალვაცია ხანგრძლივი მომსახურების იმპორტული საქონლის ფასზე აისახა, რაც ინფლაციის ზრდის კატალიზატორი იყო.

აღსანიშნავია, რომ უკვე 3 თვეა, რაც წლიური ინფლაციის დონე ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მიზნობრივ მაჩვენებელს (5,0%) გასცდა. ეს იმ ფონზე, როდესაც სებ-ი წლის დასაწყისიდან მოყოლებული პერმანენტულად ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას. 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის კოეფიციენტი კიდევ ერთხელ 0,5%-ით გაიზარდა და 7,5%-ს მიაღწია. ასეთი მაღალი მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი ბოლოს 2011 წლის სექტემბერში იყო.

**„ინფლაციის ზრდის განმსაზღვრელი კვლავ მიწოდების მხარეს მოქმედი ფაქტორებია. კერძოდ, გაცვლითი კურსის გაუფასურებით განპირობებული წარმოების შუალედური ხარჯების გაძვირება და ცალკეულ იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდა. ინფლაციის მაჩვენებელზე ასევე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ელექტროენერგიის გადასახადის მატებას“,** — აღნიშნულია სებ-ის განცხადებაში.

ლარის გაუფასურება რომ ქვეყანაში ფასების ზრდას გამოიწვევდა, ძნელი მისახვედრი არ იყო, თუმცა ბოლო ერთი წლის განმავლობაში მთავრობა და სებ-ი ამ საკითხს ყურადღებას ნაკლებად უთმობდნენ, რადგან ლარის კურსის ვარდნაში ერთმანეთის დადანაშაულებით იყვნენ დაკავებულნი.

„სიმართლე გითხრათ, ველოდი კიდეც, რომ მიზნობრივ ინფლაციაზე შეჩერება გაჭირდებოდა. ახლა ბევრი რამ დამოკიდებულია როგორც ეროვნული ბანკის ქმედებაზე, ასევე იმპორტიორებზე. მთავარია, რამდენად მოახერხებენ ისინი ისეთ პრობლემასთან გამკლავებას, როგორიცაა ლარის გაუფასურება, პროდუქტების გაძვირება.

**მართალია, წლის ბოლომდე ცოტა დროა დარჩენილი, მაგრამ ამ ყველაფერმა შეიძლება საშიში ფორმა მიიღოს, რაც კიდევ უფრო გაართულებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ყოფა-ცხოვრებას. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ფინანსური კრიზისის გაღრმავების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. უკვე არის იმის ნიშნები, რომ სავალუტო კრიზისი შეიძლება გაღრმავდეს“,** — აცხადებს საბანკო სფეროს ექსპერტი მიხეილ თოქმაზიშვილი.

ჯერჯერობით კი საქართველოს მოსახლეობამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიიღო 40%-ით გაუფასურებული ეროვნული ვალუტა, გაზრდილი ინფლაცია, რომელიც უკვე გასცდა მიზნობრივ მაჩვენებელს და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა, რამაც, უწინარესად გააძვირა კრედიტები ლარში, ხოლო დანარჩენ უარყოფით შედეგებს ქვეყანა უახლოეს მომავალში იგრძნობს. ცხადია, რომ გაზაფხულზე 7%-იანი ინფლაცია მოსახლეობის ცხოვრების დონეს კიდევ უფრო გააუარესებს.

**ბექა დანელია**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს სპეცსამსახურები ტერორისტებთან კავშირში ეჭვმიტანილ პირებს აპატიმრებენ

## ოპოზიცია მოითხოვს ბიუჯეტის გაზრდას სახელმწიფო უშიშროების სამსახურებისთვის

**ძართველი ოპოზიციონერები მოითხოვენ ბიუჯეტის გაზრდას სახელმწიფო სამსახურებისთვის, მიუთითებენ „გაზრდილ პასუხისმგებლობაზე“ ქვეყნისათვის ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან.** ხელისუფლება, თავის მხრივ, არ გამორიცხავს დაფინანსების გაზრდას სპეციალური სამსახურებისთვის, მაგრამ ამავე დროს აცხადებენ, რომ ამაში ვერ ხედავენ აუცილებლობას ამ მომენტში. მათი სიტყვებით, საქართველო არ შედის იმ ქვეყნების ჯგუფში, სადაც არსებობს ტერორიზმის რისკის მაღალი დონე. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურში აღნიშნავენ, რომ „სერიოზულად აღიქვამენ ყველა საფრთხეს, რომლებიც საჯაროდ არის გაჟღერებული ტერორისტების მიერ, და კონკრეტულადაა დაკავშირებული საქართველოსთან“.

**„ჩვენ ვავლენთ მაღალი დონის მობილიზაციას და მაღალ პასუხისმგებლობას, რაც შეეხება რისკებისა და საფრთხის თავიდან აცილებას. იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა საქართველო ტერორისტებისათვის მაღალი რისკის კატეგორიების ქვეყნებს შორის, ეს ასე არაა. მათი ძირითადი მიზანია ქვეყნები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საბრძოლო მოქმედებებს ეგრეთწოდებული „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. მაგრამ ეს ჩვენ, უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო უშიშროებისათვის, არ გვაძლევს მოდუნების საშუალებას“,** — განუცხადა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ **ლევან იზორიამ.**

## ინტერნეტ-პროპაგანდა

**აღსანიშნავია, რომ ადრე საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა 56 წლის მურმან პაიჭაძის (იგივე აბუ ასია ალ-ჯუეჯის) განცხადება — იგი წარსულში ქართულ სოფელ კოხტაში მუსლიმანური სათემოს სულიერი ლიდერი იყო, რომელიც ამჟამად, მისი ნათესავების ინფორმაციით თურქეთში იმყოფება. 9 ნოემბრის განცხადებაში, რომელსაც პაიჭაძემ „მუფტიატის ისლამის ხალიფატიდან“ ყოფილი იმამის მურმან პაიჭაძის მიმართვა“ უწოდა, იგი მოითხოვს საქართველოსგან გაიყვანოს თავისი ჯარები „მუსლიმანური ქვეყნებიდან“, წინააღმდეგ შემთხვევაში, პაიჭაძის სიტყვებით, ქვეყანას ემუქრება „მეტად მკაცრი პასუხი“ „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან.**

შეგახსენებთ, რომ 1999 წლიდან საქართველო მონაწილეობს ღებულობს მთელ რიგ სამშვიდობო მისიაში. მათ შორის, ერაყსა და ავღანეთშიც. მაგრამ 2014 წლის შემდეგ ქართველი სამხედროები აღარ ღებულობენ მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში. ნატოს არასაბრძოლო მისია „გადამჭრელი მხარდამჭერა“, რომელშიც დაახლოებით 900 ქართველი მეომარი მონაწილეობს, 2015 წლის პირველი იანვრიდან დახმარებას უწევს და ასწავლის ავღანეთის სამთავრობო ძალებს.

ქართული ინტერნეტ-გვერდებთან დაკავშირებით, რომლებიც პროპაგანდას უწევენ „ისლამურ სახელმწიფოს“; მათ შორის, ის ორი საიტიც, რომლებმაც გავრცელეს მურმან პაიჭაძის მიმართვის საფრთხე, ლევან იზორიამ განაცხადა, რომ უშიშროების სამსახურმა ამასთან დაკავშირებით ადრე დაიწყო გამოკვლევა, მაგრამ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში განზრახ არ ღებულობდა ზომებს ამ ინტერნეტგვერდებზე შეღწევის აკრძალვის შესახებ, ვინაიდან მათზე აწარმოებდა დაკვირვებას. ამ მომენტისათვის, როგორც იგი ლაპარაკობს, სპეციალურ სამსახურებს უკვე აქვთ საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყოს სისხლის სამართლის დევნა იმ კონკრეტული პირების წინააღმდეგ, რომლებზეც არის ეჭვი რომ იმყოფებიან ტერორისტებთან კავშირში.

## „წყარო და ტრანზიტული ქვეყანა“

**იზორიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სპეციალური სამსახურები მჭიდროდ თანამშრომლობენ დასავლელ პარტნიორებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან ანტიტერორისტულ ბრძოლაში. მისი სიტყვებით, 15 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დააკავეს აზერბაიჯანის მოქალაქე, რომელიც ცდილობდა, უკანონოდ გადაეკვეთა საზღვარი საქართველოსთან, რათა შემდეგ წასულიყო სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში საბრძოლველად. როგორც იზორია იტყობინება, ეს არ არის პირველი შემთხვევა.**

აღსანიშნავია, რომ ივნისში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის გამოქვეყნებულ ყოველწლიურ მოხსენებაში ტერორიზმთან დაკავშირებით ნათქვამია: **მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 2014 წელს „რჩებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერ პარტნიორად“ ტერორიზმთან ბრძოლაში, ქვეყანა ჯერ ისევ კვლავ რჩება საერთაშორისო ტერორიზმის წყაროდ, აგრეთვე ტრანზიტულ ქვეყნად ექსტრემისტებისათვის.**

უცხოელების გარდა, თავად ქვეყნიდან, დაუდასტურებელი მონაცემებით, სირიაში და ერაყში საბრძოლველად წავიდა საქართველოს დაახლოებით 100 მოქალაქე — აჭარისა და პანკისის ხეობის მუსლიმანური რელიგიების წარმომადგენლები. მათ რიცხვშია ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი სამხედრო გავლენიანი ხელმძღვანელი — პანკისის ხეობის წარმომადგენელი, 28 წლის თარხან ბათირაშვილი, რომელიც ცნობილია ფსევდონიმით „ომარ ალ-შიშანი“.

წინასწარი მონაცემებით, სირიაში 2014 წლიდან უკვე დაიღუპა საქართველოს 11 მოქალაქე, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ბრძოლებში ტერორისტების მხარეს. აღსანიშნავია, რომ 14 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა 4 პიროვნება ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირურთიერთობისათვის. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, ერთ-ერთი მათგანი — 36 წლის სოფლის იმან იმამი პანკისის ხეობიდან აიუფ ბორჩაშვილი არის „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც იბირებდა მოქალაქეებს, მათ შორის არასრულწლოვნებსაც, რათა ჩაერთო ისინი ტერორისტულ ორგანიზაციაში. იგი აწყობდა მათ გამგზავრებას სირიაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისათვის ჯიხადისტების მხარეზე.

ბორჩაშვილს წაუყენეს ბრალდება ორი მუხლით. ერთი — სისხლის სამართლის 327-ე მუხლი (პირების გადაბირება მათი ტერორისტულ ორგანიზაციაში შესვლის მიზნით) — ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 10 წლამდე, მეორე — მუხლი 328 — შეეხება დახმარების გაწევას ტერორისტულ საქმიანობაში ან ტერორისტულ ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით უცხოური სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ითვალისწინებს პატიმრობას 10-დან 17 წლამდე.

შემდეგ დაკავებულებს ბრალი ედებათ იმაში, რომ, როდესაც ბორჩაშვილის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ, ისინი აპირებდნენ თურქეთის გავლით ჩასულიყვნენ სირიაში ჯიხადისტების ტერორისტულ მოქმედებებში მონაწილეობისათვის. ოთხივე ამჟამად წინასწარი პატიმრობის ადგილებში იმყოფება და ისინი თავიანთ ბრალდებას უარყოფენ.

## უშიშროების ზომები

**საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყანაში მიღებულია უშიშროების ყველა ზომა, გამკაცრებულია აგრეთვე კონტროლი საზღვრებზე, აეროპორტებსა და ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტზე.**

**„საქართველოს სახელმწიფო მზადაა ასეთი ტიპის გამოწვევებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვართ თავისუფალი სამყაროს ნაწილი და საქართველო არის თავისუფალი და ცივილიზებული სამყაროს თანამებრძოლი და პარტნიორი ტერორიზმთან ბრძოლაში, მაგრამ ამავე დროს ქვეყნის შიგნით ყველა ღონისძიება დაგეგმილია“,** — განაცხადა თავის კომენტარებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის საქართველოს თავდაცვითი უწყების ხელმძღვანელმა თინა ხიდაშელმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 18 ნოემბრისათვის დანიშნა უშიშროების და საქართველოს მთავრობასთან არსებული კრიზისების მართვის საბჭოს სხდომა. ამ კვირისათვის დაგეგმილია აგრეთვე უშიშროების საბჭოს სხდომა საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ხელმძღვანელობით.

Voice of America

# დედამიწის ზურგზე

## ბოლივიის პრეზიდენტმა ღესბოსელი უწოდა ქალ-მინისტრს თავისი გამოსვლისადმი არასაკმარისი ყურადღების გამო

ინციდენტი მოხდა სოფლის ჯანმრთელობის დაცვისათვის სასწრაფო დახმარების მანქანების გადაცემის ცერემონიის დროს. პრეზიდენტმა ევო მორალესმა, რომელიც ამასთან დაკავშირებით სიტყვას ამბობდა, შენიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი სხვა ქალით იყო დაკავებული და პრეზიდენტს ყურადღება არ მიაქცია, და წინადადება დააყენა, რომ ეს შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო მინისტრის სექსუალური მიკერძოებულობით.

## ობამამ შესთავაზა რუსეთს, კონცენტრირება მოახდინოს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაზე და მოსკოვს უწოდა „კონსტრუქციული პარტნიორი“

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ურჩია რუსეთს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მხარდაჭერის ყურადღება გადაიტანოს ბრძოლაზე ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების ტერორისტებთან. აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტის ფარგლებში გამოსვლის დროს მანილაში, ობამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განზრახული აქვს, განიხილოს ეს საკითხი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან.

## რუს მეცნიერს სოფია კოვალევსკაიას სახელობის პრემია მიანიჭეს

**ჯილდო, რომელიც დაწესებულია გერმანიის ჰუმბოლდტის სახელობის ფონდის მიერ, მიანიჭეს ექვს ახალგაზრდა მეცნიერს 31-დან 33 წლამდე, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში მუშაობენ. მათ შორის იგი მიენიჭა ბიოფიზიკოს მიხაილ კუდრიაშოვს, რომელიც მუშაობს შვეიცარიაში კრიოელექტრონული მიკროსკოპიის დარგში.**

## აშშ-ში მიაჩნიათ, რომ ტერორისტული აქტები პარიზში გაშიფრული მონაცემების ტექნოლოგიის გამოყენებით მზადდებოდა

ამერიკის სენატის დაზვერვის კომიტეტის ხელმძღვანელი რიჩარდ ბერი მიიჩნევს, რომ ტერორისტებმა გამოიყენეს დახურული შიფროგრამები. ამ ტექნოლოგიის გამოყენების

შემთხვევაში ტერორისტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაეცვალათ ინფორმაციები კავშირგაბმულობის ღია არხებით, მაგალითად, ჩვეულებრივი სატელეკომუნიკაციო სისტემით ან ინტერნეტით.

## გაეროში უარყვეს ცნობა, რომ ორგანიზაციის გენერალური მდივანი პან გი მუნი პირველად ჩავა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში



**ჩინურმა სააგენტომ — Xinhua-მ, ჩრდილოეთი კორეის სააგენტოზე მითითებით გაავრცელა ცნობა, რომ პან გი მუნი 23 ნოემბერს პირველად ჩავა ფხენიანში და რამდენიმე დღე დარჩება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამავე დროს ჩრდილოეთი კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლი ხუნ სიკმა განაცხადა, რომ სამინისტროს არ გააჩნია ინფორმაცია ქვეყანაში გაეროს გენერალური მდივნის შესაძლო ვიზიტის შესახებ.**

## ორმა თვითმფრინავმა, რომლებიც აშშ-დან პარიზში მიფრინავდა, კურსი აფეთქების საფრთხის გამო შეცვალა

ავიაკომპანია Air France-ს თვითმფრინავმა, რომელიც ლოს-ანჯელესიდან საფრანგეთის დედაქალაქში მიფრინავდა, შეასრულა დაუგეგმავი დაჯდომა სოლტ-ლეიკ-სიტის აეროპორტში. რეისის მარშრუტის შეცვლის მიზეზი გახდა გაფრთხილება ბორტზე ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის შესახებ. შემდეგ ანალოგიური მიზეზით ამავე ავიაკომპანიის სხვა რეისიც გაგზავნეს კანადის ჰალიფაქსში.

## იუბილე საველე სწავლებით აღნიშნეს

**სამხედრო დაზვერვის 24 წლის იუბილესთან დაკავშირებით გორის სასროლეთზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთ სარდლობის V ქვეითი ბრიგადის სადაზვერვო ასეულის მონაწილეობით, სიტუაციური საველე სწავლება „ისარი 2015“ გაიმართა.**

მზვერავებს პროფესიული დღე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

**„მეხუთე ბრიგადამ წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას. ბრიგადის სადაზვერვო ასეულის სადაზვერვო ოცეულმა აჩვენა ყველას, თუ რა შეუძლია. სამხედრო მზვერავი უნდა გახდეს ერთ-ერთი წამყვანი სპეციალობა შეიარაღებულ ძალებში და ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. მინდა ვისარგებლო დღევანდელი დღით და საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა მოქმედ და ვეტერან სამხედრო მზვერავს მივულოცო სამხედრო დაზვერვის დღე“,** — განაცხადა გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ.

არაგეგმური სადაზვერვო სწავლების დროს სადაზვერვო ოცეულის პირადმა შემადგენლობამ, მოწინააღმდეგის აღმოჩენისა და განადგურების მიზნით, ჯავშანმანქანებით მოტორიზებული რეკოგნოსცირება და საბრძოლო პატრული განახორციელა.

ღონისძიების ბოლოს გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ მეხუთე ქვეითი ბრიგადის დაზვერვის ასეულის დაზვერვის პირველი ოცეულის პირადი შემადგენლობა მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

## ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული გამოფენა „ექსპო ჯორჯიაში“

**საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ტერიტორიაზე, 18-20 ნოემბერს, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამმუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-15 საერთაშორისო გამოფენა ტარდება.**

საქართველოში აგრო მიმართულების ყველაზე პრესტიჟული გამოფენა წელს განსაკუთრებით მასშტაბურია და საგამოფენო სივრცე მე-5, მე-6, მე-11 პავილიონებსა და გარე ტერიტორიებზეა გაშლილი.

გამოფენა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ გახსნა და აღნიშნა, რომ წელს გამოფენა განსაკუთრებით მასშტაბურია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო უკვე რამდენიმე წელია ამ პრესტიჟული საერთაშორისო გამოფენის მხარდაჭერია.

**„მოგეხსენებათ, აგაგრული დარგის განვითარების ხელშეწყობისთვის, სახელმწიფო არაერთ პროექტსა და ღონისძიებას ახორციელებს. ამ ღონისძიებათა შორის უმნიშვნელოვანესია, ერთი მხრივ, ჩვენი პროდუქციის პოპულარიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენი ფერმერებისა და მეწარმეებისთვის აგარარულ დარგში არსებულ თანამედროვე სტანდარტებთან და ტექნოლოგიებთან წვდომის უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ საერთაშორისო გამოფენების აქტიური მხარდამჭერია. პრესტიჟული, საერთაშორისო მნიშვნელობის გამოფენები მონაწილეებს საშუალებას აძლევს საკუთარი პროდუქციას მსოფლიო მასშტაბით გაუკეთონ რეკლამირება, დაამყარონ კონტაქტები პოტენციურ პარტნიორებთან, გაეცნონ უახლეს ტექნოლოგიებს და საერთაშორისო მასშტაბით დარგში მიმდინარე პროცესებს“,** — განაცხადა დანელიამ.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით უკვე 1200 -ზე მეტი კოოპერატივია შექმნილი.

**„გამოფენის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვაც მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, წელს პირველად 20 ნოემბერს საქართველოში ფერმერის დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით, გამოფენის ფარგლებში, აგრარული დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჩვენ ფერმერებს დავაჯილდოებთ“,** — განაცხადა დანელიამ.

**მინისტრმა მადლობა გადაუხადა გამოფენის ორგანიზატორებს, ყველა მონაწილეს, სტუმარს და აღნიშნა, რომ სწორედ მათი ჩართულობა და მონაწილეობა ხდის გამოფენას მნიშვნელოვანს და საინტერესოს.**

## განათლების მინისტრი ოზურგეთის ეწვია

**საქართველოს** განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სკოლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების გაცნობას აგრძელებს.

თამარ სანიკიძემ ამჯერად გურიის რეგიონის გუბერნატორთან ერთად, ოზურგეთის სოფლების სკოლები დაათვალიერა.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბახვისა და სოფელ მერიის საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაობი რამდენიმე ეტაპად ხორციელდება. ქვედა ბახვის სკოლაში პირველ ეტაპზე სახურავის რეაბილიტაცია განხორციელდა, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, მოეწყო სარინელი და სანიაღვრე სისტემა, პირველი სართულის ნაწილში განხორციელდა შიდა სარემონტო სამუშაოები და ფასადის სრული რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გარე სანკვანძის სამშენებლო სამუშაოები.**

ამავე სკოლაში დაგეგმილია მეორე სართულის დერეფნისა და საკლასო ოთახების რეაბილიტაცია. ანალოგიური სამუშაოები განხორციელდა სოფელ მერიის საჯარო სკოლაშიც და პროცესი აქაც გრძელდება.

**განათლების სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს ოზურგეთის ოცზე მეტ სკოლაში განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ერთი სკოლა აშენდა, ორი სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს, ახალი წლიდან ახალი პროექტები დაიწყება და თითქმის ყველა სკოლა იქნება რეაბილიტირებული.**

## თეთრწყაროში წყალმომარაგება გაუმჯობესდა

**საქართველოს** მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები დაათვალიერა, რომელსაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად ახორციელებს.

ამჟამად, თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას წყალი 4-5-საათიანი გრაფიკით მიეწოდება. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ წყალმომარაგება 1800 ოჯახს გაუუმჯობესდება და მაღალი ხარისხის სასმელ წყალს 24-საათიან რეჟიმში მიიღებს. პროექტის ფარგლებში, 1500 და 600-ტონიანი ორი რეზერვუარის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ასევე, რეკონსტრუქცია უტარდება საქლორატოროს. დაგეგმილია 23,5 კმ მილსადენის გამოცვლა, 1,5 კმ -ზე კი ჩაიდება სრულიად ახალი მილსადენი. ასევე, მოხდება 730 აბონენტის გამრიცხველიანება.

**პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს და მისი ღირებულება 2 379 976,49 ლარია. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 30-დან 40 ადამიანამდეა დასაქმებული. პროექტი 2016 წლის პირველ კვარტალში დასრულდება.**

◎ ვითომ ვცდები?

## რას ვასწავლით ჩვენს პატარებს?

ახლახან ჩემმა მეხუთეკლასელმა შვილთაშვილმა თავისი ისტორიის წიგნი მომიტანა და მთხოვა, დავხმარებოდი. გთავაზობთ ერთ ამონარიდს ამ წიგნიდან: **„ძველი ბერძნული მითი ოქროს საწმისის შესახებ.**

**ოდესღაც საბერძნეთიდან კოლხეთში ჯადოსნური ოქროს ვერძით ქალღმერთ ნეფლეს ვაჟი ფრიქსოსი მოფრინდა. მან ოქროს ვერძი მსხვერპლად შესწირა ზევსს — ბერძენთა მთავარ ღმერთს — მისი ოქროს ტყავი კი, იგივე საწმისი, ომის ღმერთის არესის ჭალაში ჩამოჰკიდა.საწმისს მცველად ურჩხული ჰყავდა მიჩენილი. კარგა ხნის შემდეგ ოქროს საწმისის დასაბრუნებლად კოლხეთში ხომალდ „არგოთი“ იასონი და მისი თანმხლები არგონავტები (ხომალდ „არგოს“ მეზღვაურები) ჩამოვიდნენ. კოლხეთის მეფე აიეტი იასონს შეჰპირდა საწმისის მიცემას იმ შემთხვევაში, თუ იგი სამ რთულ დავალებას შეასრულებდა. დავალებები იმდენად ძნელი აღმოჩნდა, რომ იასონმა არ იცოდა, რა ექნა, მაგრამ ბედმა გაუღიმა. იასონი აიეტის ასულ მედეას შეუყვარდა. მედეა იასონს დაეხმარა. არგონავტებმა შეძლეს ოქროს საწმისის მოტაცება და საბერძნეთში დაბრუნება“.** გვ. 26.

განათლებით ისტორიკოსი ვარ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრე, თანაც გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი შოთა მესხია მიკითხავდა ლექციას. ისტორიისადმი სიყვარული არც შემდგომში გამნელებია, დღესაც სახლში მაქვს საქართველოს ისტორიის ნარკვევების ტომეულები. სხვადასხვა გამოცემები, მაგრამ ოქროს საწმისზე ამგვარი ტექსტი არსად შემხვედრია.




წიგნის სათაურია **„ჩვენი საქართველო-5“** მზია სურგულაძე, ნინო მინდაძე, ვაჟა ნეიძე, კობა ხარაძე, ალბათ, შემდგენლები არიან **ლაშა ბერაიას, თამარ გეგეშიძის, მანანა ქურთუბიძის** და **თამარ შალვაშვილის** მონაწილეობით.

თანაც ეს მეორე გამოცემაა. სად გამოიცა და ვინ გამოსცა, ვერ მიხვდებით, არც გამოცემის თარიღია მითითებული. ფასი კი 10 ლარია, კარგად და კარგ ქაღალდზეა დასტამბული. ოღონდ თუ წაიკითხავ, ბევრჯერ გაოცდები.

ან იქნებ მე ვცდები?

**გივი ჯახუა**

## ბრძნული აზრი ხან არაბრძენსაც მოსდის...

- **გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი. თუნდაც დღეში ერთხელ მაინც.**
- **მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შეიძლება, რომ დაისვა ჯვარი.**
- **არიან ადამიანები, რომლებიც ენით ფიქრობენ.**
- **თვალები ადამიანებს იმისთვის ეძლევათ, რომ მან ბევრ რამეზე დახუჭვა შეძლოს.**
- **კარგი ცხოვრებისთვის უნდა გადავიხადოთ, ცუდისთვის — ანგარიში უნდა გავასწოროთ.**
- **ის, რაც შენში არ არის, მუდამ თვალში გეცემა.**
- **ეჭვიანი მუდამ მეტს პოულობს, ვიდრე ეძებს.**
- **ხან ვერ იჯერებ, თურმე რისი დაჯერება შეგძლებია.**

**ირაკლი ბაღიშვილი,**
აფხაზეთი

◎ ძიუდო

# ნაცნობ სახე(ლ)ებს კვარცხლბეკზე ახლებიც ენაცვლებიან

**დიდმის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში დამთავრდა კიმონოიანთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა მიზეზით რამდენიმე უძლიერეს ფალავანს არ უჭიდავია, მათ შორის – ლაშა შავდათუაშვილს, ნუგზარ ტატალაშვილს, ავთანდილ ჭრიკიშვილს, ვარლამ ლიპარტელიანს, ადამ ოქრუაშვილს. ამის მიუხედავად, თითოეულ წონით კატეგორიაში პაექრობები დაძაბულად წარიმართა.** 60 კილოში საქართველოს ნაკრების ტიტულოვანმა წევრმა ამირან პაპინაშვილმა გაიმარჯვა – მან ზედიზედ სძლია ოთარ თამლიანს, ლერი ბედინაძეს, ირაკლი კუპატაძეს, ლუხუმ ჩხვიმიანს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. 73 კილოში პირველ ნომრად განთესილმა ფრიდონ გიგანმა ფინალში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრ გიორგი კაციაშვილს აჯობა. 81 კილოში საქართველოს ჩემპიონი გახდა უშანგი მარგიანი. ოქროს მედლისთვის ბრძოლა მან ზებედა რეხვიაშვილს მოუგო. 90 კილოგრამში პირველ-მეორე ნომრებად პაატა ღვინიაშვილი და ზვიად გოგოჭური იყვნენ განთესილნი. ღვინიაშვილმა საქართველოს პირველობის ფინალში მეხუთედ იჭიდავა და წინა ოთხში თუ ხელი მოეცარა, ამჯერად ნავსი გატეხა და გაიმარჯვა. 100 კილოგრამში მოჭიდავე ლაშა გურული მეოთხედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მძიმე წონაში ევროპის ჩემპიონმა ადამ ოქრუაშვილმა ტრავმის გამიზეზების შიშით იუარა ტატამზე გასვლა. ამ წონაში ფავორიტად ონისე ბუღაძე იქცა და სასურველ მიზანსაც მიაღწია.

**კვარცხლბეკი**

**60 კგ.** 1. ამირან პაპინაშვილი, 2. ლუხუმ ჩხვიმიანი, 3. ივანე ჯავახიშვილი და ნიკო ჭიკაიძე.

**66 კგ.** 1. თორნიკე თათარაშვილი, 2. ბექა შავდათუაშვილი, 3. მინდია ლილუაშვილი და გელა კელიხაშვილი.

**73 კგ.** 1. ფრიდონ გიგანი, 2. გიორგი კაციაშვილი, 3. ანზორ ხმიადაშვილი და ზვიად კაპანაძე.

**81 კგ.** 1. უშანგი მარგიანი, 2. ზებედა რეხვიაშვილი, 3. გიორგი პაპუნაშვილი და კობა მჭედლიშვილი.

**90 კგ.** 1. პაატა ღვინიაშვილი, 2. ზვიად გოგოჭური, 3. თორნიკე ჯუღელი და არჩილ გოგოლაშვილი.

**100 კგ.** 1. ლაშა გურული, 2. ჯაბა მუმლაძე, 3. ლაშა ტაველური და ალექსანდრე ზაალიშვილი.

**+100 კგ.** 1. ონისე ბუღაძე, 2. გიორგი ლაზუაშვილი, 3. გიორგი ზაქარიაძე და ვახტანგ ოქრუაშვილი.

**ლაშა დიდია**

◎ ფეხბურთი

# რჩეულნი

**მაშ ასე, უკანასკნელი ვაკანსიებიც შეივსო და გამოვლინდა ყველა ის ეროვნული ნაკრები, რომელიც გაისად ზაფხულში, თუ მშვიდობა იქნა, საფრანგეთის სტადიონებზე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში ითამაშებს.**

უეფას კორუფციულ სკანდალში გახვეული თავკაცის – მიშელ პლატინის ინიციატივით განხორციელებული რეფორმის შედეგად კონტინენტური ფორუმის დასკვნითი ტურნირის მონაწილეთა რაოდენობა, როგორც მოგეხსენებათ, 24-მდე გაიზარდა. გთავაზობთ ამ გუნდების ნუსხას: **საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, ინგლისი, პორტუგალია, ბელგია, იტალია, რუსეთი, შვეიცარია, ავსტრია, ხორვატეთი, უკრაინა, ჩეხეთი, შვედეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, თურქეთი, ირლანდია, ისლანდია, უელსი, ალბანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია.**

რჩეულნი ჯგუფებში 12 დეკემბერს პარიზში დანიშნული კენჭისყრით გადანაწილდებიან, მაგრამ იბადება კითხვა: რამდენად მზადაა ტერორისტული აქტებით დაზაფრული საფრანგეთის დედაქალაქი საამისოდ?

**გიორგი შოთაძე**

◎ მოვლენის წინ

# ძალოსნები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან

**საძართველოს ნაკრები დუშეთშია და სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. ინტენსიური დატვირთვა, კარგი პირობები, არაჩვეულებრივი მზარეული ჯადოსნური ხელით – ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია გუნდს მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს უქმნის. ხვალ, გამთენიისას ჩვენები ჰიუსტონში გაემგზავრებიან.**

**გთავაზობთ ბიჭების მინი-ფაილებს.**

**ვფიქრობთ, ეს საინტერესოა.**

**რამინ შამილიშვილი (62 კილოგრამი)**

**პროფესიონალი:** 2004

**მწვრთნელი**: ბესო ბასილია.

**საუკეთესო შედეგები საერთაშორისო ტურნირებზე:** 2015, ევროპის ჩემპიონატი, U23, I (ატაცი), II ადგილი.

**ჰიუსტონის წინ:** მაქვს სალიცენზიო ქულების აღების შანსი. ძალიან კარგი ნაკრები გვყავს. მოსამზადებელი პერიოდი ხანგრძლივი და საინტერესო იყო. ვნახოთ, ამერიკაში როგორ გამოვალთ.

**შოთა მიშველიძე (69)**

**პროფესიონალი:** 2004.

**I მწვრთნელი:** მალხაზ ლომთაძე.

**საუკეთესო შედეგები საერთაშორისო ტურნირებზე:** 2010, ევროპის ჩემპიონატი, U17, III ადგილი – 2011, ევროპის ჩემპიონატი, U17, III (ატაცი) – 2012, ევროპის ჩემპიონატი, U20, II ადგილი.

**ჰიუსტონის წინ:** ორივე მხარი მტკიოდა და დღეს ყველაფერი წესრიშია. ამ ეტაპზე, არ მინდა სავარაუდო შედეგზე საუბარი. უბრალოდ, მაქსიმუმს გავაკეთებ.

**გიორგი ლომთაძე (77)**

**პროფესიონალი:** 2004.

**I მწვრთნელი:** მალხაზ ლომთაძე.

**საუკეთესო შედეგები საერთაშორისო ტურნირებზე:** 2010, ევროპის ჩემპიონატი, U20, III ადგილი – 2011, ევროპის ჩემპიონატი, U20, II ადგილი – 2012, ევროპის ჩემპიონატი, U20, I – ადგილი (ატაცი), III ადგილი.

**ჰიუსტონის წინ:** ნორმალურ კონდიციებში ვარ. ძალიან კარგი შეკრებაა და კმაყოფილი ვარ მისით. ჩემპიონატის გარდა, არაფერზე არ ვფიქრობ. მაქსიმალურად მაღალი ადგილისთვის ვიბრძოლებ.

**რაულ ცირეკიძე (94)**

**პროფესიონალი:** 2003.

**I მწვრთნელი:** გია ცირეკიძე.

**საუკეთესო შედეგები საერთაშორისო ტურნირებზე:** 2007, ევროპის ჩემპიონატი, U20, III ადგილი – 2010, ევროპის ჩემპიონატი, U23, III ადგილი – 2012, ევროპის ჩემპიონატი, I ადგილი.

**ჰიუსტონის წინ:** მარჯვენა მხარზე გავიკეთე ოპერაცია და რამდენადაც მოვასწარი, მაქსიმალურად შევედი კონდიციებში. 6 თვეა, რაც ვარჯიში დავიწყე. პირველ თხუთმეტეულში რომ მოვხვდე და სალიცენზიო ქულები ავიღო, ნორმალური იქნება.

**გიორგი ჩხეიძე (105)**

**პროფესიონალი:** 2006.

**I მწვრთნელი:** ბეჟან ჭიჭინაძე.

**საუკეთესო შედეგები საერთაშორისო ტურნირებზე:** 2014 , ევროპის ჩემპიონატი, U17, II ადგილი– 2014, ევროპის ჩემპიონატი, U20, III (აკვრა) – 2015, ევროპის ჩემპიონატი კლუბებში, U18, I ადგილი – 2015, ევროპის ჩემპიონატი, U20, II ადგილი.

**ჰიუსტონის წინ:** მქონდა ტრავმები, მაგრამ დღეს საუკეთესოდ მომზადებული ვარ. მოუთმენლად ველოდები ტურნირს. პირველ ოცეულში შესვლა ჩემთვის ამ ეტაპზე კარგი შედეგი იქნება, მაგრამ მეტის გაკეთებას ვეცდები.

**გია მაჭავარიანი (105)**

**პროფესიონალი:** 2000.

**I მწვრთნელი:** ავთო გახოკიძე.

**საუკეთესო შედეგები საერთაშორისო ტურნირებზე:** 2011, ევროპის ჩემპიონატი, III ადგილი – 2011, მსოფლიოს ჩემპიონატი, III (ატაცი).

**ჰიუსტონის წინ:** ხერხემალი ცოტა მაწუხებს. ერთადერთი, ეს პრობლემა მაქვს. ადრე მქონდა ორივე მაჯის მძიმე ტრავმა, მაგრამ ეს უკვე ისტორიაა. მალე, ალბათ, კარიერას დავასრულებ და მინდა, რომ მანამდე, ჯერ მსოფლიოზე გამოვიდე და შემდეგ, ევროპის ჩემპიონატზეც მოვხვდე.

**ლაშა ტალახაძე (+105)**

**პროფესიონალი:** 2009.

**I მწვრთნელები:** კობა ტალახაძე, ავთო გახოკიძე.

**საუკეთესო შედეგები საერთაშორისო ტურნირებზე:** 2010, ევროპის ჩემპიონატი, U17, I ადგილი – 2011, ევროპის ჩემპიონატი, U20, I ადგილი – 2012, ევროპის ჩემპიონატი, U20, III ადგილი – 2013, მსოფლიოს ჩემპიონატი, U20, I ადგილი.

**ჰიუსტონის წინ:** 2 წელიწადია ამ დონის ტურნირზე არ ვყოფილვარ. მომენატრა მაღალ დონეზე გამოსვლა. ამ პერიოდში საკმაოდ კარგი შედეგები მქონდა. მოსამზადებელმა პერიოდმა კარგად ჩაიარა. რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი მიზანი ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვებაა. ნაკრებს რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა მივცე და თუ პარალელურად, მედლის აღებაც გამოვა, კმაყოფილი ვიქნები.

**ირაკლი თურმანიძე (+105)**

**პროფესიონალი:** 2008.

**I მწვრთნელი:** ბესო ბასილია.

**საუკეთესო შედეგები საერთაშორისო ტურნირებზე:** 2010, ევროპის ჩემპიონატი, II (ატაცი) – 2012, I (ატაცი), III ადგილი – 2015, ევროპის ჩემპიონატი, I ადგილი.

**ჰიუსტონის წინ:** ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დავისვენე. ძალიან მინდა, რომ ოკეანის გაღმა გუნდმა რაც შეიძლება მეტი ლიცენზია აიღოს, მინიმუმ – 3. ტრავმები მქონდა, მაგრამ ეს უკვე წარსულშია. საკმაოდ კარგ კონდიციებში ვარ. მე და ლაშა ტალახაძე ბოლოები გამოვდივართ და, ალბათ, ჩვენს შედეგზე იქნება ნაკრების ლიცენზიების საბოლოო რაოდენობა დამოკიდებული. მოკლედ, მაგრად უნდა ვიასპარეზოთ.

**ზურაბ თალაკვაძე**

◎ ლეგენდის აღსასრული

# „გუშინ ეპოქა დასრულდა დიდი...“

**სპორტული** სამყარო შოკირებულია – თანამემამულეთა მორიგი ტრიუმფიდან რამდენიმე კვირაში რაგბის ახალზელანდიელი მეფე ჯონა ლომუ 40 წლის ასაკში უკვდავების ბინადარი გახდა.

სიმბოლურია „ოლ ბლექსის“ ლეგენდარული ლიდერის დიაგნოზი – თირკმლის უკმარისობა. არადა, ვინ მოთვლის, რამდენი მეტოქისთვის შეუნგრევია ეს ორგანო მხოლოდ მისეული გარღვევების დროს.

სხვათა შორის, 2004 წელს ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა კერპს საკუთარი თირკმელი დაუთმო გადასანერგად, რომელმაც 2011 წლამდე შეასრულა თავისი ფუნქცია. შემდეგ იყო დიალიზი, მომაბეზრებელი სამედიცინო პროცედურები, მაგრამ ამ რკინის კაცის გადარჩენა მაინც ვერ მოხერხდა.

დღემდე სარეკორდოდ რჩება მის მიერ დადებული ლელოების რაოდენობა მსოფლიოს თასებზე – 15 (იგი ამას წინათ სამხრეთაფრიკელმა ბრაიან ჰაბანამ გაიმეორა).

კურიოზია, აბა რა – ჯონა ლომუმ უტიტულოდ დაასრულა ხანმოკლე სანაკრებო კარიერა და სიცოცხლე.

**კოგა კოგახიძე**

◎ ჩვენი ენა ქართული

# შენგან წასული გაშვილებულია თუ ნაშვილები?

**რა** თქმა უნდა, გაშვილებულიო, იტყვით, ალბათ, და სავსებით მართალი იქნებით. მაგრამ ზოგი, პირიქით, ნაშვილები, შვილობილი, შვილად აყვანილიო, იტყვის. ეს რომ ასეა, ახლავე დავრწმუნდებით თუნდაც ასეთი მაგალითებით: „მადნეულის“ პრივატიზება მის **შვილობილ** კომპანიებთან ერთად მოხდება“; „...აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მოქმედებენ უცხო ქვეყნის ფიჭური კომპანიები – „აკვაფონი“, „მეგაფონი“ და მათი **შვილობილი** კომპანიები...“ და მრავალი სხვ.

გავრცელების კვალობაზე ამ კატეგორიამ გადაინაცვლა საქმის ქაღალდებში და კანონის ენაშიც კი შეაღწია: **„შვილობილი** საწარმო“ (შვილობილი ორგანიზაცია“) – ამ კანონის მიზნებისათვის იურიდიული პირი, რომელშიც სხვა იურიდიული პირი ფლობს წილის (ხმის უფლების მქონე აქციების, პაის) 50 ან მეტ პროცენტს“; „უცხოეთის ბანკის **შვილობილ** ორგანიზაციაზე ან ფილიალზე ლიცენზიები გაიცემა იმ შემთხვევაში...“ (კანონი) და მისთ.

ახლა გავხსნათ ფრჩხილები და ვთქვათ, რას ვუწუნებთ ამ ფორმას. იმას, რომ იგი უადგილოდ იხმარება. აქ უნდა იყოს სხვა სიტყვა – **შვილეული.** ერთადერთი აკადემიური წყარო, რომელიც ამას გვიდასტურებს, არის „იურიდიული ტერმინოლოგია“, რომლის 76-ე გვერდზე ვკითხულობთ: **дочернее общество – შვილეული** საზოგადოება.

რაკი მივაგენით შესატყვისს – რუსულ **дочерний** ზედსართავს, გავარკვიოთ მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა. იგი ასეა განმარტებული ს. ოჟეგოვის „რუსული ენის ლექსიკონის“ მე-15 გამოცემაში: Дочерний... 2. **образовавшийся в результате отделения от чего-нибудь** (спец). **Дочернее предприятие**“, ესე იგი ის, რაც **რამისაგან გამოყოფის** შედეგად შეიქმნაო.

თუმცა იშვიათად, მაგრამ ეს უდავოდ სწორი ფორმაც იხმარება მეტყველებაში. ამ მხრივ საგულისხმოა დოკუმენტი, რომელსაც, თუ მოკლედ ვიტყვით, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (1996 წ.) ჰქვია, რომლის 25-ე მუხლში შემდეგი წერია: „ბ) „შვილეული კომპანია“ არის კომპანია, რომელსაც მთავარი კომპანია აკონტროლებს... დ) „დაფუძნება“ ნიშნავს გაერთიანების (ევროპის გაერთიანება იგულისხმება. – ავტ.) ან საქართველოს კომპანიების უფლებას, (ა) პუნქტის თანახმად, განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა შვილეული საწარმოების ან ფილიალების საშუალებით“... ასევე ვხვდებით ამ ფორმას პრესის ენაშიც: „...საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შევიდა ერთი განაცხადი „სლიქროუდ გრუპის“ შვილეული კომპანია „აბრელა კონსალტიგისაგან“...; „საქართველოს ბანკის შვილეული საინვესტიციო ბანკი „გალტ თავგრატ სექიურითი“... წარმატებით აგრძელებს... ქართული ლარით დენომინირებული ობლიგაციების განთავსებას...“; „ბრიტანული კომპანია „სტენტონ ექუიზით კორპორეიშენი“... რუსული კომპანია „პრომიშლენნიე ინვესტორის“ შვილეულია...“ (სტილი დაცულია).

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩვენს შემთხვევაში **შვილობილი** ფორმა უნდა გამოირიცხოს და უნდა ვწეროთ: **შვილეული ორგანიზაცია, შვილეული საწარმო, შვილეული საზოგადოება, შვილეული ფირმა** და ა. შ.

**ოთარ კაპანაძე**

# „გალაკტიონობა“ ვანში

**ვანის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაულ „გალაკტიონობასთან“ დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებები გაიმართა.**

ჭყვიშში პოეტის სახლ-მუზეუმში, ლიტერატურული კომპოზიცია „არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“ გაიმართა. კომპოზიციაში გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება იყო წარმოჩენილი. პოეტის იუბილეს შემეცნებითი ღონისძიება იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლის მოსწავლეებმაც მიუძღვნეს.

„გალაკტიონობას“ იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, ვიცე-გუბერნატორი გიორგი ჭიღვარია, საქართველოს პარლამენტის წევრები, გამგებელი ზაზა ხურციძე და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ვანის ახლად რეაბილიტირებულ კულტურის ცენტრში თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „მოხუცი ჯამბაზები“ გაიმართა. ვანის თეატრს კი, რომელსაც არსებობის 100 წლის ისტორია აქვს, მსახიობ კარლო საკანდელიძის სახელი მიენიჭა.

◎ გამოუცნობი

# განგების დარტყმები

**მეცნიერებმა უტყუარად დაამტკიცეს: ტრაგიკული ბედი შეიძლება თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობით გადადიოდეს.**

ამავე დროს მკვლევარები აცხადებენ, რომ აუცილებელია ორი ცნების „განგებისა“ და „ბედის“ ერთმანეთისგან გარჩევა, რადგან „ბედის შეცვლა შესაძლებელია, განგება კი, რომ იტყვიან, „თავებს სხეპს“. თუკი ვიღაცას სამსახურში ან ოჯახში რაღაც ყოფითი უსიამოვნებები აქვს, ეს, უბრალოდ, უიღბლობაა, კატასტროფული სიკვდილები, ერთი მეორეზე მიყოლილი ავადმყოფობები კი ჭეშმარიტად განგებაა.

ავი განგება გარდუვალობის შეგრძნებას ტოვებს. გასული საუკუნის 60-იან წლებში ფსიქოლოგთა კვლევებით დადასტურდა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც უბედურებებს იზიდავენ. მაგალითად, წარმოებებში უბედურ შემთხვევათა 80 პროცენტი... ერთსა და იმავე პირებზე მოდის, ესე იგი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ათიდან რვა უბედურ შემთხვევაში გამუდმებით ერთი და იგივე ხალხი ზარალდება. იმავეს თქმა შეიძლება ყაჩაღური თავდასხმების მსხვერპლებზეც.

არსებობს ფსიქოლოგიის კანონი, რომელსაც მისი აღმომჩენის – მარბეს სახელი დაარქვეს. **იგი ავარიებისა და უბედური შემთხვევების ალბათობის გათვლის შესაძლებლობას იძლევა:** თუკი თქვენ მანქანით პატარა ავარია მოგივიდათ, ავტოსაგზაო შემთხვევის განმეორების ალბათობა მრავალჯერადად იზრდება. **ორი ავარიის შემდეგ მესამე ავარია კი, როგორც მეცნიერები აცხადებენ, უბრალოდ გარდაუვალი ხდება!** თუ თითი გაგეჭრათ, ხელს გაუფრთხილდით, რადგან ტრავმების მიღების ალბათობა მატულობს. მეტიც: **მსხვერპლებისა და მათი ყოფაქცევის შესახებ მთელი მეცნიერება, ვიქტიმოლოგიაა შექმნილი.**

თუმცა კი ის, რაც მერბემ აღმოაჩინა, ხალხში ოდითგანვე იყო ცნობილი – საბრალო უიღბლონი საკუთარ სოფლებშიც კი გარიყულნი იყვნენ, რადგან მიჩნეული იყო, რომ უბედურება გადამდებია.

ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ავი განგება მთელ ოჯახს ატყდება ხოლმე თავზე: ყველა მამაკაცი ახალგაზრდა ასაკშივე იღუპება, ანდა ქალებს ოჯახური ცხოვრება არ ეწყობათ. ან კიდევ ხშირია უბედური შემთხვევები, ავარიები, ხანძრები. თანაც საგვარეულო დაწყევლილი ბედის დაჯერებას სავსებით რეალური საფუძველი აქვს: **ფსიქოგენეტიკა დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ სავსებით შესაძლებელია, რომ მძიმე ხვედრი თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდეს.**

ამის კლასიკური მაგალითია კენედების კლანი. უბედურ განგებას ყველა ახალ ტრაგედიასთან დაკავშირებით იხსენებენ, როცა მორიგი კენედი ახალგაზრდა ასაკში იღუპება. ორი მოკლული ძმა უგრძესი ჯაჭვის მხოლოდ ორი რგოლია – **გადმოცემით, კენედების ოჯახი ოდესღაც ინდიელებმა დაწყევლეს, რომლებიც მათ გამო შიმშილისგან ათიათასობით იღუპებოდნენ.**

მაგრამ, **ყველაზე უარესი შემთხვევაა, როცა ავი განგების მატარებელი სახიფათოა არა საკუთარი თავისთვის, არამედ გარშემო მყოფთათვის** და ასეთები, სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრნი არიან. ამიტომ ფსიქოლოგები ამ ხალხის მორიდებას გვირჩევენ.

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

**რუსლან რუსია ოჯახით თანაუგრძნობს დიდებულ პიროვნებას, ბატონ აკაკი გონგლაძეს მეუღლის, უკეთილშობილესი ქალბატონის**

**ლარისა კახაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, საცდელი წარმოების ყოფილი ხელმძღვანელი**

**ჯემალ ნიკოლაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## დოდო ჯაიანის გამოსათხოვარი

**მისთვის საყვარელი მამიდის ნუნუ გამცემლიძის ოჯახი, გურამ, გოგი, კოკა მგელაძეები, ნუცა ქარელი, ნინი ხაბაზიშვილი შვილებით, შვილიშვილებით უღრმესი მწუხარებით ვიუწყებით უსათნოესი ახალგაზრდა ქალბატონის**

**დოდო ჯაიანის**

**უდროო აღსასრულს, ვუერთდებით დედის ტატა, მამის მერაბ ჯაიანების, მეუღლე ლევანის, შვილების, უახლოესი ნათესავების უსაზღვრო მწუხარებას და შევთხოვთ ღმერთს, ნათელში აღამაღლოს წამებული მხევალის ნათელი სული.**

◎ კრიმინალი

## „პროკრედიტ ბანკი“ გაძარცვეს

**თბილისში, პეკინის №25-ში „პროკრედიტ ბანკის“ ფილიალი, საგარაუდოდ, სათამაშო იარაღის გამოყენებით გაძარცვეს.**

**როგორც ბანკის მარკეტინგის განყოფილების უფროსი ნატო ბოჭორიშვილი აცხადებს, ყაჩაღობის შედეგად არავინ დაშავებულა.**

**„შევიდნენ იარაღით, რომელიც, როგორც ვიცი, ნამდვილი არ იყო. თანხა წაღებულია სამივე ვალუტაში“, – აღნიშნავს ნატო ბოჭორიშვილი.**

**თვითმხილველების ინფორმაციით, ბანკში სამი ნიღბიანი მამაკაცი შეიჭრა.**

**სამართალდამცავებმა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ამოიღეს.**

## ამოღებულია დიდი ოდენობის ჰეროინი

**სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად წარსულში ნასამართლევი, 1979 წელს დაბადებული გურამ მ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს.**

**ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 5 შეკვრად დაფასოებული ჰეროინის შემცველი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებისას გურამ მ-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. გურამ მ. აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.**

## თურქეთის მოქალაქეს იარაღი შემოჰქონდა

**სამართალდამცველებმა საქართველოს საბაჟო საზღვარზე ცეცხლსასროლი იარაღის წესის დარღვევით გადმოტანის ბრალდებით თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ბათუმში დააკავეს.**

**სამინისტროს თანამშრომლებმა დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას თურქული წარმოების „შარსილმაზის“ ტიპის პისტოლეტი 15 ვაზნით და 1 მჭიდით ამოიღეს.**

**დადგინდა, რომ აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა დაკავებულმა თურქეთიდან შემოიტანა. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.**

# პატარა დედა

## როგორ უნდა მოიქცეთ, როდესაც ქალიშვილი შვილიშვილს გჩუქნით

**მოზარდის ასაკში სექსუალური ექსპერიმენტები ხშირად ფეხმძიმობით სრულდება. როგორ უნდა მოიქცნენ მოზარდის მშობლები, როდესაც ისინი ამგვარ სიტუაციას თავიანთ ოჯახში გადაეყრებიან ხოლმე?**

**ჩვენი ექსპერტია ექიმი-ფსიქოლოგი ბორის სულავა.**

### ემოციური მოუმწიფებლობა

**თუ ბავშვის სულიერ აღზრდას არავინ აწარმოებდა, მაშინ სქესობრივი მომწიფების პერიოდში იგი რთულ მდგომარეობაში ხვდება. მოზარდს ეწყება ჯიშის გაგრძელების ბუნებრივი პროგრამა, თუმცა მისი სურვილები არაფრით არაა დაკავშირებული ემოციურ ურთიერთობებთან, რომლებიც ჩნდება მახლობელ ადამიანებს შორის.** ამ დროს თანამედროვე ახალგაზრდულ გარემოში სექსუალურ კონტაქტში შესვლა ადვილია და მარტივი, ამიტომ ეს ხშირად ხდება ძალიან ადრე. მაგრამ არანაირი მახლობელი, სულიერი, ნდობით ურთიერთობანი ამ დროს წყვილს ჩვეულებრივად არა აქვს. ამჟამინდელი ახალგაზრდობისათვის სხვა ადამიანთან სერიოზული ურთიერთობების თავად არსებობა ზოგჯერ საერთოდ ღია რჩება. უფრო მეტიც, სექსუალურ კავშირში ჩაბმის დროს მოზარდების ინფანტილურობა ჩვეულებრივად იმდენად დიდია, რომ აზრადაც არ მოსდით შესაძლო ფეხმძიმობა ან საფრთხე — „აიკიდონ“ ვენერიული დაავადებები. ასე რომ, თუ ბავშვთან თქვენ არ განიხილავთ ამ საკითხებს, არ ღირს, ელოდოთ თქვენი პირმშოსაგან განსაკუთრებულ შეგნებულობას. რასაკვირველია, თინეიჯერებს შორისაც არიან ფსიქიკურად მომწიფებული ადამიანები, მაგრამ მაინც ეს უფრო არის გამონაკლისი საერთო წესიდან.

ქალიშვილის ან ჭაბუკის სექსუალური განათლება — იმავე სქესის მშობლის პირდაპირი მოვალეობაა. მოზარდის უფროსი ასაკისათვის ბავშვმა უნდა იცოდეს ყველაფერი ქალისა თუ კაცის ორგანიზმის აგებულების და ფიზიკური სიახლოვის შესაძლო შედეგების შესახებ და, რასაკვირველია, იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სერიოზულ ნდობითს ურთიერთობებს მოსიყვარულე ადამიანებს შორის, რის გარეშეც სექსი არანაირ სიხარულს არ მოგვანიჭებს.

### როდესაც ყველაფერი უკვე მოხდა

**თუ ის, რისიც ასე ეშინოდათ მოზრდილებს, უკვე მოხდა, და ქალიშვილი დაორსულდა, ყველაზე კარგი, რაც მშობლებმა შეიძლება გააკეთონ, ესაა ის, რომ მიიღონ ვითარება.** რა თქმა უნდა, მათთვის ეს ძალიან ძნელია, და ზოგიერთი მათგანი შოკურ სიტუაციაში აკეთებს იმას, რისთვისაც სხვა დროს შეიძლებოდა გვერდი აევლო — მაგალითად, თავს ესხმის ქალიშვილს წყევლა-კრულვით, ემუქრება სახლიდან გაგდებით ანდა ურჩევს აბორტის გაკეთებას. დიდი მნიშვნელობა აქვს გავიგოთ, რომ ეს არის საგანგებო სიტუაცია, რომელსაც წყობილებიდან გამოჰყავს ნებისმიერი მშობელი და რთულია, ფსიქოლოგიურად გადაიტანო დამოუკიდებლად. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც არა თუ შეიძლება, არამედ საჭიროცაა, მივმართოთ კიდეც პროფესიული მხარდაჭერისათვის, რათა დაეხმარო საკუთარ თავს — გაიაროს ეს გამოცდა.

### მივცეთ გაზრდის შანსი

**როდესაც სიტუაციას მიიღებენ, უფროსი თაობის წარმომადგენლებმა ხშირად უნდა იკისრონ მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე, გახდნენ მოულოდნელი შვილიშვილის ფაქტობრივი მშობლები. მათ არ სჯერათ, რომ ნორჩი დედა და მამა მზად არიან ამ როლისთვის და შეუძლიათ თავი გაართვან მშობლის მოვალეობებს.** ამ შემთხვევაში ბებიებიც და ბაბუებიც არიან კიდეც მართლები და არც არიან მართლები. მართლები არიან იმაში, რომ მათ შვილებს, ალბათ, წარმოდგენაც არ აქვთ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყვნენ პატარა ბავშვის მშობლები. ხოლო არასწორები იმაში, რომ წინასწარ არ-თმევენ მათ შანსს — ისწავლონ ეს.

ადრეულ ფეხმძიმობასთან დაკავშირებული სიტუაცია, დაე, თუნდაც თავისთავად რთული, აძლევს შესაძლებლობას მოზარდებს, მოულოდნელად რომ გახდნენ მშობლები, გახდნენ უფრო შეგნებულები და პასუხისმგებლები. ახლადწარმოჩინებული ბებიებისა და ბაბუების ამოცანაა — დაეხმარონ მათ ამაში. დაე, ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ ყოველთვის შეუძლიათ იქონიონ იმედი, რომ ექნებათ თქვენი რჩევა და მხარდაჭერა, მაგრამ ახსოვდეთ — ისინი ახლა აღმოჩნდნენ სხვა, დიდების როლში და ახალი ადამიანის სიცოცხლე მშობლების ხელთაა. და არ არის გამორიცხული, რომ უფროსების გონივრული მხარდაჭერით შეძლებენ, გაზარდონ ჯანსაღი და ბედნიერი ოჯახი.

### მნიშვნელოვანია ვიცოდეთ

**რა უნდა ვძნათ, თუ თქვენი არასრულწლოვანი ქალიშვილი შვილს ელოდება?**

- **თავი შეიკავოთ ნებისმიერი კრიტიკისა და ზემოქმედებისაგან (ბოლოს და ბოლოს, აქ თქვენი პასუხისმგებლობის წილია).**
- **მიმართეთ ფსიქოლოგიური დახმარებისათვის.**
- **გაუწიეთ ნორჩ დედას ყოველმხრივი მხარდაჭერა, ოღონდ ნუ იკისრებთ მის მშობლიურ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე.**
- **თუ ქალიშვილს კვლავ აქვს ურთიერთობა თავისი ბავშვის მამასთან, მოაწესრიგეთ კონტაქტი მასთან და მის მშობლებთან.**

**ყურადღება!**

**დიდ დიღომში,** „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

**ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

**ყურადღება!**

**ქირავდება** 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

**მისამართი:** მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი — მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი.

ტელ: 599 370035, მანანა.

**რეკლამა** **მაჩაბლის ქ. №7.**
*„საქართველოს რესპუბლიკაში“* **293-37-87**

### ◎ ცინცხალი ანეკდოტები

**მორგის** დირექტორი თავის მეგობარს, მოტოციკლების მაღაზიის დირექტორს — ურეკავს საღამოს:

—რამდენი მოტოციკლი გაყიდე დღეს?

— ოთხი.

— ვაა! სამი უკვე აქაა, და ის მეოთხე რა იქნა, ნეტა?

* * *

— აბბა, ნახვამდის! ბებიას და ბაბუას მოკითხვა გადაეცით!

— რომელ ბებიას და ბაბუას, ექიმო? ისინი რა ხანია გარდაიცვალნენ!

— მეც მაგას ვამბობ, — მალე შეხვდებით და მომიკითხეთ!

* * *

— **როგორ** ავიცილოთ თავიდან ვენერიული დაავადება?

— ჩაი დალიეთ!

* * *

**მიხოს** გზაზე ბაყაყი შეხვდა.

— მე მართლა ბაყაყი კი არა ვარ, — ეუბნება იგი, — ჯადო მაქვს გაკეთებული, შენ უნდა მაკოცო, მე ჯადო ამეხსნება და ლამაზ გოგოდ გადავიქცევი, მერე შენ ცოლად მომიყვან, ნუ, როგორც ხდება ხოლმე რა!

მიხომ ბაყაყი ჯიბეში ჩაისვა და გზა გააგრძელა. ყვირის ბაყაყი ჯიბიდან:

— შენ ვერ გამიგე, — შენ უნდა მაკოცო, მე ლამაზ გოგოდ გადავიქცევი...

— მოიცა რა, ლამაზი გოგოების მეტი რა არის, მოლაპარაკე ბაყაყი კი პირველად ვნახე!

* * *

— **შემთხვევითი** რიცხვების გენერატორი მჭირდება, შეგიძლია დამეხმარო?

— თოთხმეტი.

### ◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე